პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ და [illegible] დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-8 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება—70.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2 მილ. მ.

დღიური

ლონდონიდან გამოვიდა ინგლისის დელეგაცია, რომელიც მიემგზავრება ლოზანაში.

საფრანგეთმა საპროტესტო ნოტა გადასცა ოსმალეთის მთავრობას, რომელმაც კონცესია გადასცა ნავთზე და რკინის გზაზე ამერიკას.

ინგლისის თემთა პალატამ უნდობლობა გამოუცხადა ბონარ ლოუს მთავრობას.

რურის ოლქში ააფეთქეს რკინის გზის ლიანდაგი.

საოკუპაციო ჯარმა გერმანელ უმუშევართ ესროლა ყუმბარა, რითაც დასჭრა და მოჰკლა რამდენიმე მუშა.

№ 83 შაბათი, 14 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 83

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორაში
(ყოფ. გაზტრესტი)
(რუსთაველის პრ. № 24, მე-2-ე სართული).
მიიღება ხელის მოწერა მოსკოვის გაზეთებზე—ადგილებზე გადაგზავნით.
ხელის მოწერა მიიღება:
აპრილისა და მაისისათვის.
5—5

სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს, რომ პოეტ

ოვანეს თუმანიანის

დაკრძალვა მოხდება კვირას, ამ თვის 15-ს, ხოჯივანქის სასაფლაოზე.

ორშაბათს, 16 აპრილს, საღამოს 5 საათზე
საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი: 1. მოხსენება პრეზიდიუმის მოღვაწეობისა და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ. 2. „კომხაგესის“ მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ. საბჭოს წევრები, რომელთაც არ მიუღიათ საწევრო წიგნაკები, ვალდებული არიან მიიღონ დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უწიგნაკოთ არ იქნებიან დაშვებული სხდომაზე.

(კრ. 222 2—1) პრეზიდიუმი.

1901 წელში დაბადებულთა გაწვევა საქართველოს წითელ ჯარში

(თეზისები).

1. წითელი არმია არის მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მონაპოვართა საიმედო დამცველი. ესაა შეიარაღებული მუშები და გლეხები.

2. წითელი არმია განირჩევა იმპერიალისტურ არმიებისაგან თავისი კლასობრივი შემადგენლობით. მის რიგებში ადგილი არ აქვს ექსპლოატატორებს. თუ წინად, ძველ არმიაში ოფიცრების თანამდებობა ეჭირათ მემკვიდრეობით აზნაურებს და ბურჟუაზიის შვილებს, ეხლა კი ჩვენს წითელ არმიაში ყველა უმაღლესი საკომანდო თანამდებობანი მუშებისა და გლეხების ხელშია.

თუ წინად, ძველ არმიაში ჯარისკაცი იყო სისხლის მსმელი მეფის ბრმა იარაღი და არ იცოდა მან სად მიდიოდა და რისთვის იბრძოდა, ეხლა კი ჩვენი წითელი არმიის თვითეული მებრძოლი წარმოადგენს რესპუბლიკის სრულუფლებიან მოქალაქეს, ღებულობს აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ, შედის რა წითელი არმიის რიგებში, ის სრულუფლებიანი მოქალაქეა თავისი რესპუბლიკის, ღებულობს აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და სწამს, რომ წითელი არმიის რიგებში შესვლით ის იცავს თავის და მშრომელთა ინტერესებს.

იმპერიალისტური არმიების დისციპლინა აშენებულია ჯარისკაცის დაშინებაზე და ცემაზე.

წითელი არმიის დისციპლინა კი აგებულია თვით მებრძოლთა შეგნებაზე.

სამხედრო ბეგარის მოხდა მეფის არმიაში იყო უბედურება მშრომელებისათვის. იქ ჯარისკაცებს ამყოფებდენ უმეცრებაში, მათ აიძულებდენ ელოცათ მეფისა და სამშობლოსათვის და ყოველმხრივ ცდილობდენ შთაენერგათ მათთვის მონობისა და მორჩილების გრძნობა.

წითელ არმიაში სამსახური სწავლებაა, რომლის დროსაც მუშა და გლეხი იძენს წერა-კითხვას, პოლიტიკურ განვითარებას და მშრომელთა რესპუბლიკის იარაღით ხელში დაცვის უნარს.

3. წითელი არმია არ ატარებს არავითარ იმპერიალისტურ მიზნებს. მისთვის უცხოა ბრძოლა ბაზრებისა და საოკუპაციო მიზნებისათვის, რადგანაც ყველაფერი ეს უცხოა მის ხელმძღვანელს,—საბჭოთა ხელისუფლებას. წითელმა არმიამ უნდა განამტკიცოს რევოლიუციის მონაპოვარი და დახმარება უნდა გაუწიოს სხვა სახელმწიფოების პროლეტარიატს კაპიტალის უღლის ჩამოგდებაში.

4. წითელი არმიის რიგები ამ ჟამად შემცირებულია მინიმუმამდე—(800,000 კაცამდე). საქართველოში ჩვეულებრივ 25,000 კაცის ნაცვლად, ეხლა ჯარში გაწვეული იქნება ხოლოდ 5,000 კაცი.

ჩვენ გვსურს დავუმტკიცოთ ყველა სახელმწიფოებს, რომ ჩვენ არ გვაქვს დამპყრობლური ზრახვები და რომ ჩვენ [illegible] მივისწრაფვით მშვიდობიანობისაკენ. ჩვენ გვსურს მივსცეთ დასვენების და თავიანთი მეურნეობის მოწესრიგების საშუალება იმ ძველ მებრძოლებს, რომლებიც უკვე ორი წელიწადია იმყოფებიან საქართველოს წითელი არმიის რიგებში და იარაღით ხელში იცავენ საბჭოთა ხელისუფლებას.

5. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას წითელი არმიისადმი.

საფრანგეთი არ კმაყოფილდება უამრავი საჰაერო ფლოტით და გამალებით განაგრძობს შეიარაღებას; პოლონეთის არმიის რიცხვი აღემატება საბჭოთა რუსეთის არმიის რიცხვს; იაპონია ადგია გამომწვევ—მტრულ პოლიტიკას და სხვ. შესაძლებელია, რომ ჩვენ ვდგევართ კაპიტალის ახალი შემოტევის წინაშე, რომელიც მიმართული იქნება მსოფლიოში ერთად-ერთ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს—საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ.

6. ჩვენს გამარჯვებას დასავლეთის კაპიტალზე უზრუნველყოფს სამი ფაქტორი:

ა) დასავლეთის მუშათა კლასი იარაღს იხმარს თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ და წავა იმ გზით, რომელიც უჩვენა მას რუსეთის პროლეტარიატმა 1917 წ. ოქტომბერში.

ბ) იმპერიალისტურ არმიების შეიარაღებაში ყოველივე ტეხნიკური გაუმჯობესებანი ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწევენ, თუ იმპერიალისტური არმიის ჯარისკაცები შეიგნებენ, რომ მათ გზავნიან მუშების და გლეხების წინააღმდეგ და უარს იტყვიან ჩვენთან ბრძოლაზე.

ორთავე ეს ფაქტორი ჩვენგან არ არის დამოკიდებული. ხოლო მესამე ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას, დამოკიდებულია წითელ არმიისაგან. ეს არის გაწვრთნა, პოლიტიკური აღზრდა, დისციპლინა და სიმტკიცე მისი რიგების.

7. მსოფლიო კაპიტალის, შინაური კონტრ-რევოლიუციის საბოლოოდ დამხობის მიზნით, საქართველოს მუშები და გლეხები მოვალე არიან გამოჰყონ თავიანთი წრიდან საუკეთესო ამხანაგები და მით შეავსონ საქართველოს არმია, რომელიც რუსეთის სახელოვან წითელ არმიასთან ერთად იდგომება რევოლიუციის და მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესების სადარაჯოზე.

8. ამ მიზნით საბჭოთა საქართველოს მთავრობა ნაციონალური არმიის შედგენისა და შევსებისათვის, აპრილის შუა რიცხვებში აცხადებს 1901 წ. დაბადებულ მოქალაქეების გაწვევას.

9. საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობა მიზნად ისახავს გაატაროს ეს გაწვევა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ მშრომელ მცხოვრებლებისათვის, ამიტომ სამსახურის ვადა შემცირებულია 6 თვემდე. ჯარში გასაწვევთა რიცხვი დაყვანილია 5.000 კაცამდე, რაც შეადგენს გასაწვევი ჰასაკის მეოთხედ ნაწილს. ამ რიგად მთავრობა გადადის არმიის აღმშენებლობის მინიმალურ სისტემაზე, რომელიც ჯერ ისტორიას არ ახსოვს.

ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც შეადგენენ ერთად-ერთ მუშაკებს, უფლება ეძლევა გაწვეულ იქნენ მეორე რიგში; ყველა სასწავლებლების მოწაფეები თავისუფალი არიან სწავლის დამთავრებამდე.

10. წითელი არმიის მებრძოლის სახელი არ შეიძლება მიეცეს ბურჟუაზიის წარმომადგენელს.

პროლეტარიატს არ შეუძლია მიანდოს რესპუბლიკის დაცვა მის მოწინააღმდეგე კლასს.

ის, ვინც არ იქნება მიღებული წითელი არმიის რიგებში ბურჟუაზიული კლასისადმი კუთვნილების გამო, იხდის სპეციალურ სამხედრო გადასახადს.

11. რელიგიური სექტების წარმომადგენლები, რომლებსაც ომი და არმიის შენახვა ცოდვათ მიაჩნიათ, თავისუფალი არიან სამსახურიდან და იხდიან სამხედრო გადასახადს ბურჟუაზიასთან თანაბრად.

12. საბჭოთა ხელისუფლება იწვევს არმიაში ახალგაზრდა გლეხებს და მუშებს, მომზადებისა და სწავლებისათვის აძლევს გაწვეულებს მთელ რიგ შეღავათებს, ანთავისუფლებს მათ და მათ ოჯახებს სახელმწიფო გადასახადების უმეტეს ნაწილისაგან.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ არა ერთხელ დაამტკიცა, რომ ის სასტიკია იმათთვის, ვინც ბოროტი განზრახვით არ ასრულებს მის ბრძანებებს.

იმათ, ვინც არ გამოცხადდება საპატიო მიზეზის გარეშე, მას მოელის **რევოლიუციონური სასამართლოს სასტიკი სასჯელი.**

საქართველოს საუკეთესო შვილები სიხარულით და სიამაყით წავლენ და შეავსებენ საქართველოს წითელი არმიის ფოლადისებურ რიგებს, იარაღით ხელში დაიცავენ საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის, რესპუბლიკების კავშირის და მთელი მსოფლიო პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესებს.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს რუსეთის წითელ არმიას!

გაუმარჯოს მსოფლიოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ამხ. ლენინი, მარტოვი და მარტინოვი

სამივე მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურებია მუშათა მოძრაობაში უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში. ისტორიული ფიგურები არიან ისინი, რასაკვირველია, სხვა და სხვა ხარისხის, იმ მუშაობის მიხედვით, რომელიც მათ მიუძღვით იმ პარტიაში, რომელშიც ისინი შედიოდენ, კაცობრიობის სოციალიზმის და კომუნიზმის იდეალების განხორციელების შესაძლებლობის და აუცილებლობისაკენ მოძრაობის და განვითარების უდიდეს ეპოქაში.

პირველს, ახლა ყოველ შემთხვევაში საყოველთაო ბელადს მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის, უდავოთ შეიძლება ეწოდოს გენიოსი, დიდი კაცი, და ამ სახელით ის შევა ისტორიაში.

მეორენი, აგრეთვე უდავოთ მნიშვნელოვანი პერსონაჟები არიან, მაგრამ არა პირველხარისხოვანი. ისინი ჩვენი საუკუნის დასაწყისიდანვე [illegible] და არ სურდათ ეთამაშათ მეორე ხარისხოვანი როლი და ამხ. ლენინს ედავებოდენ, თუმცა უშედეგოთ, პირველობაზე. მართალია ისიც, რომ ცხოვრებამ დიდათ დასაჯა ისინი თავიანთი გრძნობების და ფიქრის ასეთი წვრილბურჟუაზიული მიმართულების გამო: უკანასკნელი ათი წლის დიალექტიურმა განვითარებამ ისინი საბოლოოდ გადაისროლა მოწინააღმდეგე ბანაკში, რომელშიც, სუბიექტიურათ მაინც, მათ არ სურდათ ყოფნა, გადაისროლა ბურჟუაზიის და კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. საჭიროა მხოლოდ დაუმატოთ, რომ უკანასკნელი, ე. ი. მარტინოვი ახერხებს ამ წუმპიდან ამოძრომას და ისევ ჩვენს ბანაკში გადმოსვლას; მარტოვი კი რევოლიუციონურ-პოლიტიკურად დიდი ხანია მოკვდა, ფიზიკურად კი ახლა. ამხ. ლენინი კი, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე ცოცხალია რევოლიუციონურ-პოლიტიკურად, თუმც ფიზიკურად ჯერ კიდევ იტანჯება და თავის რკინის ბუნებით ებრძვის ყველა იმ ტკივილებს, რომელიც მიაყენა მას ხანგრძლივმა და მეტად ინტენსიურმა ბრძოლამ და რევოლიუციონურმა მუშაობამ მუშათა კლასის საქმისათვის სამი ათეული წლის განმავლობაში საერთოდ და უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კერძოდ. მას არ შეუცვლია პოზიცია. ის არ მიილტვოდა წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკოსებსავით პირველი როლებისაკენ, არ სცდილობდა გამოეჩინა თავი. ის ფანატიკოსი—ენტუზიასტი; ამ სიტყვის უკეთილშობილესი მნიშვნელობით, საღად მოაზროვნე, შეურყეველი რკინის ნებით მიდიოდა წინ ერთხელ არჩეული გზით, საიდანაც ის მანევრებს აწარმოებდა მხოლოდ სტრატეგიული მოსაზრებით. და ისტორიამ, ყოველგვარი მიდგომის გარეშე მიანიჭა მას, აირჩია ის პირველ, უპირველეს როლზე და გადასცა მას ბელადობა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით დეე მაგრათ ეჭიროს ის მას თავის ხელში, სანამ ეს საჭირო იქნება პროლეტარიატისათვის, მთელი მუშათა კლასისათვის და საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის. ეს არის არა მარტო ჩვენი პირადი სურვილი, არამედ ვფიქრობ, სურვილი რევოლიუციის მთელი ავანგარდისა, მთელი კომინტერნისა და ყველა მისი სექციებისა, მსოფლიოს ყველა პროლეტარებისა) დეე იყოს ასე!

გადავიდეთ ჩვენს მოგონებებზე და დავახასიათოთ ზოგადათ მაინც სამივე პიროვნება.

დავიწყოთ უკანასკნელიდან, განვაგრძოთ მეორით და დავამთავროთ პირველით. ეს აბსოლიუტურათ სწორი და თანდათანობითი იქნება ჩემი მათთან პირველათ შეხვედრის და მუშაობის დროის მიხედვით.

⁂

ალექსანდრე პიკერი, შემდეგში ცნობილი მარტინოვის სახელით, 1900 წ. დასაწყისში მე კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად შევიყვანე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ეკატერინოსლავის ორგანიზაციაში. მან უკვე აქტიურათ გაიარა წარსული საუკუნის 80-თიან და 90-იან წლების ნაროდოვოლცების უკანასკნელი მოგიკანების სკოლა. ხანგრძლივი გადასახლების შემდეგ ის დაბრუნდა ციმბირიდან მარქსისტათ, როგორც განაცხადა მან პირველათ გაცნობის დროს. ყველაფერში გვეთანხმებოდა ჩვენ: სახელდობრ იმაში, რომ დაგვეტოვებინა ძველი რევოლიუციონერების მეთოდები—ინდივიდუალურათ ან ჯგუფობრივ მეფისა და მისი აგენტების წინააღმდეგ ტერორის გზა და მიგვეღო მათგან მემკვიდრეობათ ის ამოცანა, რომელსაც ისინი აყენებდენ—ე. ი. თვითმპყრობელობის დამხობა პარტიაში და პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშათა კლასის მეთაურობით. მაგრამ ის ჩქარა, ისე რომ არაფერიც არ გაუკეთებია ჩვენს ორგანიზაციაში, მასიური დატუსაღების დროს 1900 წლის გაზაფხულზე ციხეში მოხვდა. სამი თვის შემდეგ მეც მხვდა წილად „ბედნიერება“ (ვამბობ გადაუმეტებლათ), „დამესვენებინა“ ხარკოვის ციხის „სეკრეტკაში“ სამხრეთ-რუსეთში 1898—1900 წლებში მომუშავე ამხანაგების გვერდით. იქვე იყო ამხ. პიკერიც ერთი თვე კიდევ. ის გაანთავისუფლა ჟანდარმების ცალკე კორპუსის როტმისტრმა პეტერსონმა, რომელიც დარწმუნდა რომ მას ჯერ კიდევ ვერ მოესწრო მუშაობა და თუ „ნაცნობობას“ აწარმოებდა ჩვენთან, მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთიდან ხანგრძლივი მოწყვეტის გამო, დაჰკარგა რწმენა ძველ ნაროდოვოლცების მსოფლმხედველობის და სურდა გასცნობოდა ახალი მოძრაობის სხვა და სხვა მიმდინარეობას. მახსოვს როგორ მომმართა მან ჩვენი „სეკრეტნი კარიდორიდან“ წასვლის დროს მაგრათ დაკეტილ კარებში და მკითხა: „ხომ არაფერი დავალება გაქვთ, მიშა?“ მე მას მოკლედ ვუპასუხე: „განაგრძეთ ჩვენი მუშაობა“. ეკატერინოსლავის, ხარკოვის და უფრო მეტათ მოსკოვის ციხეში ოცი თვის ჯდომის შემდეგ მე გამათავისუფლეს და დამაბრუნეს „სამშობლოში“.

აქ მე მომიტანეს ერთი ბროშურა, **თვითმპყრობელობის** შესახებ, გამოცემული ჟენევაში ჩემთვის უცნობი (ციხეში ჯდომის დროს მე მოწყვეტილი ვიყავი მთელ ქვეყანას 1 ნახ. წლის განმავლობაში ყველაზე უფრო ჟანდარმების მიერ **დაკითხვის** ბოიკოტისათვის) საზღვარ-გარეთის „სოციალ-დემოკრატიული კავშირის“ მიერ, რომლის ავტორი მარტინოვი ჩემთვის აგრეთვე უცნობი იყო. ბროშურის გადაფურცვლამ, სტრიქონიდან სტრიქონამდე წაუკითხავად ამიხსნა თუ ვინ იყო ამ ბროშურის ავტორი. ეს აღმოჩნდა ამხ. პიკერის ხელნაწერი, რომელიც 1899—1900 წლის ზამთარში გვინდოდა ჩვენ დაგვებეჭდა თუგინდ როგორც სადისკუსიო მასალა.—მაგრამ არ მოხერხდა... კომიტეტის მთელი შემადგენლობა არ დასთანხმდა... ახლა კი ბროშიურამ ორის მხრივ დამაინტერესა მე: პირველ ყოვლისა **რას წარმოადგენს ეს „სოციალ-დემოკრატიული კავშირი საზღვარ-გარეთ“ და მეორე—რა გახდა ჩემი ეკატერინოსლაველი მეგობარი პიკერი?**

ერთთანაც და მეორესთანაც და აგრეთვე 1901—1902—1903 წ.წ. პარტიის მეორე ყრილობამდი არსებულ „ისკრასთან“ გაცნობამ დამარწმუნა მე, რომ „ს. დ. კავშირი“ და თვით მარტინოვი დგას „მუშათა საქმის“ ეკონომიზმის პოზიციაზე. პარტიის მეორე ყრილობამ უფრო გამოააშკარავა ეს: იქიდან წავიდენ მარტინოვი და კრიჩევსკი. მაგრამ განხეთქილებამ პარტიაში უნებლიეთ გაუღიმა მარტინოვს და რასაკვირველია ის შეეცადა გაეღრმავებია ის, ჩამოეშორებია ძველი „ისკრის“ თანამოაზრეებისათვის, ე. ი. ლენინისათვის მეტი წევრები, რაც მან მოახერხა მარტოვის, აქსელროდის და სხვა მრავალ ინტელიგენტ-ემიგრანტებით. შემდეგ თვით პლეხანოვიც „გადიხარა“ მეორე ყრილობის ბოლშევიზმიდან და უკვე ახალი (მენშევიკური) „ისკრის“ მოწინავე წერილში სათაურით „რა არ უნდა გავაკეთოთ“ შეითვისა თავის პარტიულ იდეოლოგიაში ყველაფერი ის, რისთვისაც ის 3—4 წლის განმავლობაში ებრძოდა კრიჩევსკის და მის კომპანიას ჟურნალ „მუშათა საქმიდან“. გამოვიდა რაღაც გიბრიდი მარტინოვის ეკონომიზმის პლეხანოვის ისკრიზმთან შეერთებით, რაც შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელური წყობილების მსხვრევის და მთელი ფინანსიური კაპიტალის და მებრძოლი იმპერიალიზმის კონსოლიდაციის პერიოდში თანდათანობით განვითარდა. ეს არის სამჯერ წყეული მსოფლიო ოპორტიუნიზმი და რევიზიონიზმი, რაც რუსეთის პირობებში მოინათლა მენშევიზმათ და რომელმაც მრავალი ზარალი მიაყენა და აყენებს მუშათა კლასს კაპიტალთან ბრძოლის დროს. წყეული იყოს ისტორიის მიერ მარტინოვის ეს წარსული 1923 წლამდი. რასაკვირველია სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს, უკეთესია, რომ ის სანამ ფიზიკურათ ცოცხალია და შესაძლოა ჯანსაღიც, დაუბრუნდა სწორ პოზიციას და შემოგვიერთდა ჩვენ... კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ჩვენ მზად ვიყავით მიგვეღო გ. ვ. პლეხანოვი და იული ოსიპის ძე ცედერბაუმიც (მარტოვი), რომ მათაც ქონოდათ ბედნიერება და განეცხადათ სიცოცხლეში „ისე როგორც მარტინოვმა, პსიქიური გარდატეხა, დაბრუნებულიყვენ ჩვენს რიგებში და მოეშორებიათ მთელი ის ტალახი, რაც მათ მიეკრა მოწინააღმდეგე ბანაკში.

ამ რიგად, ჩვენ გიგანტურ შრომას 1898, 1899 და 1900 წ.წ. სამხრეთ რუსეთში განაგრძობდა არა ის, მარტინოვი, არამედ ლენინი ძველი „ისკრის“ თანამოაზრეებთან ერთად.

⁂

ახლა მარტოვზე. ჩვენ ვერ გავყვებით ძველ რომაელ თქმულებას ვილაპარაკოთ მკვდრების შესახებ მხოლოდ კარგი ან არაფერი... ეს მისთვისაც [illegible] საწყენი იქნებოდა, რადგან ის უაღრესად ისტორიული პიროვნებაა. და ემორჩილება იმ კრიტიკას, რომელიც სავალდებულოა ჩვენთვის ყოველ დღე უფრო უკეთესად მუშაობისათვის და ბრძოლისათვის პროლეტარული რევოლიუციის გასამარჯვებლად.

თუ [illegible] ის, რომ ომი გაგრძელებაა ეკონომიური (და კლასობრივი) ბრძოლის, მართალია ისიც რომ სიკვდილი ყველასი, და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისტორიული პიროვნების, როგორიცაა მარტოვი, უსათუოდ არის გაგრძელება მისი წინანდელი ცხოვრების იმ განსაზღვრულ წრეში, სადაც ის იბრძოდა და გავლენა ქონდა. დაუმატოთ მხოლოთ ის, რომ ისინი ფიზიკურად უკვე არ არსებობენ, მაგრამ იდეისათვის, მათი გამარჯვებისათვის ეს უფრო ხელსაყრელია, რადგან მათი ავტორი აყავს წამებულის, თაყვანსაცემის პიედესტალზე.

გამოვდივართ რა ამ მებრძოლისა და კომუნისტური—პროლეტარული რევოლიუციის მოღვაწისათვის სავალდებულო თვალსაზრისიდან, ჩვენ ვიტყვით: იული ოსიპის ძე ცედერბაუმმა (მარტოვმა) თავისი ცხოვრება დაიწყო, როგორც მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლმა 90 წლების რევოლიუციონურ მარქსისტების საზოგადოებაში... კეთილი და პატიოსანი. დიდი ენერგია დახარჯა პარტიის 1903 წლის მეორე ყრილობამდი მუშათა კლასის განვითარების საქმეში. აქ იწყება მისი „გადახრა“, შექმნა და ჩამოყალიბება რუსეთის მენშევიზმის მისი „საერთო კომპანიით“ თვითმპყრობელობასთან და კაპიტალთან რევოლიუციონური ბრძოლის ლიბერალური ბურჟუაზიის ბრძოლასთან შეთანხმების შესახებ უკანასკნელის ხელმძღვანელობით. ეს არის დაბრუნება „ეკონომიზმისკენ. აქ მარტინოვმა რევანში და გამარჯვება მოიპოვა მარტოვზე, როგორც ლენინის თანამებრძოლზე და „ისკრის“ თანამოაზრეზე.

მარტინოვი—ჰამლეტისებური ბუნებაა. დიდ ხანს იბრძოდა ის ოპორტიუნიზმის და რეფორმიზმის სტილასა და რევოლიუციონური მარქსიზმის ხარიბდას შორის. და ბოლოს ის დარჩა იმ ნაპირზე, ჩვენი მტრების ბანაკში, როგორც ჩვენს წინააღმდეგ მათთან ერთად მებრძოლი... და ჩვენ იძულებული ვართ ვსთქვათ ისე, როგორც ამხ. ტროცკიმ: „მშვიდობით სამუდამოთ“!

მარტინოვი კი არ არის ჰამლეტისებური ბუნება, არამედ უფრო დიდებითი, თუმცა უფრო ნაკლები გაქანების... ის ნამდვილი ჰორაციოა... ის ჩვენთან არის... დეე ეპატიოს მას მენშევიზმის ყველა ცოდვები პროლეტარული რევოლიუციის და მისი ბელადის ამხ. ლენინის წინაშე, რომელიც მან, როგორც მენშევიზმის და ეკონომიზმის იდეოლოგმა, ოცის წლის განმავლობაში აიძულა ამდენი ენერგია და შრომა დაეხარჯა, რომ მასებს ჩქარა დაეძლიათ მენშევიკური შეცდომები, დაეტოვებიათ მათი გზა, დაეწყოთ მსოფლიო პროლეტარიატისათვის მაგალითის მისაცემათ პროლეტარული რევოლიუცია.

და ბოლოს გადავიდეთ მასზე, **პირველზე.**

ვილაპარაკოთ ილიჩზე... ჩვენს ილიჩზე.. მაგრამ რა ვსთქვათ ჯერ კიდევ მასზე.,. განა რ. კ. პ. მთელი 25 წლის ისტორია და კომინტერნის, მესამე ინტერნაციონალის თითქმის ათი წლის ისტორია (დასაწყისათ ჩვენ ვიღებთ 1915 წ., ციმერვალდს) და მთელი დღევანდელი დღე ს. ს. რესპუბლიკების კავშირში და მთელს მსოფლიოში მთელი თავისი სიძლიერით არ გაჰკვირის **მასზე**, როგორც კომუნისტური რევოლიუციის უდიდეს შემოქმედზე და ბელადზე? განა ის, ჩვენი ვლადიმერ ილიჩ **ულიანოვი—ლენინი** ერთათ ერთი არ არის **კარლ მარქსის გვერდით?** განა მას არ უნდა უმადლოდ ჩვენს ბანაკში მრავალი სოციალ-დემოკრატის და მათ რიცხვში მარტინოვის, ამ მარტოვზე უფრო შეურიგებელი ჩვენი მოწინააღმდეგის (უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში) დაბრუნებას? განა მან არ გახვეტა პროლეტარული რევოლიუციის გზიდან რუსეთში თავისი რკინის ცოცხით—სასტიკი კრიტიკით მენშევიზმის მთელი ნაგავი? განა მას არ უნდა უმადლოდეს კომინტერნი თავის სწორ ტაქტიკას და რევოლიუციონურ სტრატეგიას მთელი ქვეყნის პროლეტარიატის წინააღმდეგ თანამედროვე ბრძოლაში?

გაუმარჯოს ჩვენს ილიჩს და წყეულ იყონ ყველა მენშევიკები, რომლებიც ჯერ კიდევ ფარავენ ბურჟუაზიას პროლეტარული რევოლიუციის თავდასხმისაგან!..

დიახ, ვლადიმერ ილიჩმა თავისი აქტიური მოქმედებით საუკეთესო ძეგლი აიგო აღმოსავლეთის ყველა დაჩაგრული და დამონებული ერების გულში. ისინი არ დაივიწყებენ მას ისე, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატი... გაუმარჯოს მისი ცხოვრების საქმეს—კომუნიზმის გამარჯვებას!

გაუმარჯოს ამხ. ლენინს!

მიხა ცხაკაია.

თბილისი.

1923 წ. 13 აპრილი.

საბჭოთა იუსტიციის გადაუდებელი ამოცანები

საქართველოში პროლეტარული რევოლიუციის განვითარების თანამედროვე მომენტში სასამართლო ორგანოების გადახალისების საკითხი, საბჭოთა სახელმწიფოს და ცალკე მშრომელთა ეკონომიური და უფლებრივი მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილების მიზნით, წამოიჭრა მთელი თავისი სიმწვავით და აუცილებლობით.

სახალხო სასამართლოების ძველი მოხელეების შემადგენლობის ახალი მუშურ-გლეხური ელემენტით შეცვლა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა უკანასკნელი ღონისძიებანი სასამართლო ორგანოების გასაჯანსაღებლათ სავსებით აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ წაუყენა სასამართლო ორგანოებს.

გამოდის რა კლასობრივ სახელმწიფოში სასამართლოს როლის მარქსისტულად გაგებიდან, პროლეტარიატი ვერ დასტოვებს სასამართლოს თავის კლასობრივი მტრების ხელში და სასაცილო იქნებოდა ფიქრი, თითქო შეიძლება სასამართლო დარჩეს რევოლიუციონური ბრძოლის გარეშე, მით უფრო, რომ გამოცდილება გვასწავლის, რომ თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივობის პირობებშიც, მებრძოლი ბურჟუაზიული პარტიები ამა თუ იმ სახით ცდილობდენ სასამართლო მაგისტრატების თავის ხელში ჩაგდებას და მის გამოყენებას თავისი მიზნებისათვის. დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა მოთხოვნა, რომ გამარჯვებულ პროლეტარიატს ხელი აელო ამ მეთოდებზე.

სრულიად გასაგებია, რატომ შეუდგა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ადგილობრივი სასამართლოს მუშაკების ძველი შემადგენლობის ახალი მუშურ-გლეხური შემადგენლობით მტკიცედ შეცვლას. სასამართლოების ამ ახალმა შემადგენლობამ და მათთან ერთად იუსტიციის ყველა მუშაკებმა უნდა გაიგოს და შეითვისოს მათ წინაშე წამოყენებული მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანები.

ის ამოცანები, რომლებიც დგას საბჭოთა იუსტიციის წინაშე, ჩამოყალიბებული არიან საბჭოების მეცხრე ყრილობის რეზოლიუციაში და გამოიხატება შემდეგში: „რამდენათაც მშრომელთა გამარჯვებამ უზრუნველყო რუსეთისათვის თუნდ დროებითი და მერყევი მშვიდობიანობა და საშვალება მისცა მას შინაურ და საგარეო ფრონტებზე სამხედრო მდგომარეობიდან მშვიდობიან სამეურნეო აღმშენებლობაზე გადასვლის, მორიგ ამოცანას შეადგენს ცხოვრების ყველა დარგებში მტკიცე რევოლიუციონური კანონიერების დამყარება... რევოლიუციის ახალ ფორმებმა, რომლებიც შეიქმნენ რევოლიუციის პროცესში და ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე, თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვონ კანონში და დაცვა სამართლის წესში“

ამიტომ, საბჭოთა იუსტიციის ახალგაზრდა მუშაკებმა პირველყოვლისა უნდა შეისწავლონ და შეითვისონ ჩვენი უფლება, როგორც პირმშო შვილი პროლეტარული რევოლიუციისა, გაარჩიონ და ანალიზი გაუკეთონ მის წარმომშობ ეკონომიურ ურთიერთობას.

საბჭოთა იურისტის ღირსებას შეადგენს ის, რომ მიხვდეს და შეითვისოს რა ახალი რთული ეკონომიური ურთიერთობა, გაიგოს ამ ურთიერთობიდან გამოსული უფლება და არა ამ უფლების მიხედვით ახსნას და გაარკვიოს სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი. ეს საჭიროა, რომ არ დაიჩაგროს ინტერესები მშრომელი კლასისა.

ყოველგვარი კანონი, რა საუცხოვოთაც არ იყოს ის დაწერილი, ყოველთვის შეიძლება (მით უფრო თანამედროვე გარდამავალ პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობის და საკუთარი პროლეტარული იურისტების არ ყოლის პირობებში) ბურჟუაზიულმა იურისტებმა გაიგონ და გააშუქონ თავისი კლასის ინტერესების მიხედვით.

სამწუხაროთ ასეთი გაშუქების ცდას ჩვენ ძლიერ ხშირათ ვხვდებით. მაშასადამე ჩვენ დიდი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ, რომ ჩვენი უფლება არ გადავაქციოთ მისი შემქმნელი კლასის წინააღმდეგ მიმართულ იარაღად. მოსამართლე მუშა და გლეხი კანონის გაგებაში და გაშუქებაში უფრო ძლიერი უნდა იქნეს, ვიდრე ბურჟუაზია მთელი თავისი მეცნიერებით და პროფესორებით. მუშათა კლასმა იმის გაგების შემდეგ, რომ უფლება არის სისტემა ნორმებისა, რომლის საშუალებითაც გაბატონებული კლასი ამტკიცებს თავის პოზიციებს, უნდა შექმნას თავისი იურისტები, თავისი უფლების ამხსნელები და გამტარებლები, წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარულ უფლებას მოელის „საერთო“ უფლებათ და ბურჟუაზიულ იურისტების ხელში მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართულ იარაღად გადაქცევის საფრთხე.

მოსამართლის მდგომარეობა მუშურ სახელმწიფოში გაცილებით მძიმეა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მოსამართლის მდგომარეობასთან შედარებით, სადაც მოსამართლეები ხელმძღვანელობდენ მრავალი წლის გამოცდილებით, სადაც გაბატონებული კლასი კულტურულად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე დაჩაგრული კლასი, ამიტომ თავის დამშვიდება იმით, რომ ჩვენ გვაქვს კოდექსები, სადაც ყველაფერი საუცხოვოთ არის დაწერილი და გამოვიყენოთ ის მექანიკურად, იქნებოდა, მეტი რომ არ ვსთქვათ, პოლიტიკური სიბეცე და მუშათა კლასის პოზიციების შესუსტება ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოცოცხლების პირობებში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იუსტიციის ორგანოების წინაშე რთული და პასუხსაგები ამოცანების ფხიზლათ გათვალისწინება როგორც ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების, ისე იუსტიციის პრაქტიკულ მომუშავეების მხრივ, ჩვენი მატერიალური და პროცესუალური უფლების სერიოზულათ და ყურადღებით გადამუშავება გაადვილებს ამ მნიშვნელოვანი და სერიოზული ამოცანის გადაჭრას.

ი. ვარძიელი.

რეაქცია პოლონეთში

პოლონეთის გაბატონებული კლასები, რომლებიც თავისი რეაქციონური მიდრეკილებებით კიდეც აჭარბებდენ მეფის დროინდელ რუსეთის რეაქციონერებს, პოლონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადებამდე ნათლად არ ააშკარავებდენ რეაქციონურ ბუნებას, რომ მასსებისთვის თვალი აეხვიათ და ცოტა კავშირი მაინც ქონოდათ მასთან.

დამონებულ ეროვნული ჩაგვრის დროს ამა თუ იმ ერის ბურჟუაზია ყოველთვის სცდილობს შეძლებისდაგვარათ დემოკრატიული და „რევოლიუციონური“ პოზა მიიღოს. მაგრამ საკმაოა ამ ვითომდა „შემარცხენე“ ბურჟუაზიამ ძალაუფლება ხელში ჩაიგდოს, რომ თავისი ნამდვილი რეაქციონური შინაარსი ყველასათვის თვალსაჩინო გახადოს. ძალაუფლების ხელში აღებისთანავე ის სცდილობს გადააჭარბოს უკვე არსებულ ბურჟუაზიულ მთავრობებს უაღრესათ რეაქციონურ პოლიტიკის წარმოებაში და ეროვნულ შუღლის გაღვივებაში. ასეთია ყოველი ქვეყნის ბურჟუაზიის მიმართულება და პოლიტიკაც. მას არც პოლონეთის ბურჟუაზია ღალატობს, თუმცა პოლონეთის ბურჟუაზიული პარტიები ცარიზმის დროსაც ვერ ახერხებდენ თავიანთი „კაციჭამია“ მიდრეკილებათა დამალვას.

კერძოდ ებრაელთა მიმართ ეს პარტიები ძველი დროიდანვე აწარმოებდენ აგრესიულ პოლიტიკას და ყველაზე უფრო ჩაგრულ ერს, ებრაელებს დარბევით, პაგრომებით უმასპინძლდებოდენ. პოლონეთის საზღვრებში, თვითონ დევნილი ერის დამცველის სამოსელში გახვეულნი, ისინი ებრაელებთან სისხლის მღვრელ შეტაკებებისკენ მოუწოდებდენ პოლონეთის ხალხს.

დაუვიწყარია ის ამბები, რომლებიც პოლონეთში ქონდა ადგილი მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ვარშავიდან ებრაელთა ხმებით დეპუტატათ იაგელოს არჩევის გამო. პოლონეთის ბურჟუაზიამ ამის გამო ებრაელთა მოსახლეობას ბოიკოტით და პაგრომებით უპასუხა. მაგრამ დაემხო რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა, რევოლიუციამ დამოუკიდებლობა მიანიჭა პოლონეთს, თუმცა ეს დამოუკიდებლობა რევოლიუციონურ რუსეთისაგან გადაიქცა ლაქიურ დამოკიდებულებათ ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებთან, როგორც ამას ადგილი ქონდა მენშევიკურ საქართველოში, დაშნაკურ სომხეთში და სხვა „ეროვნულ“ რესპუბლიკებში. პოლონეთის ბურჟუაზია, რომელიც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეში მოექცა, რევოლიუციონურ რუსეთის მიმართ, რომელმაც მას ეროვნული თავისუფლება მიანიჭა, აშკარა მტრული განწყობილება გამოიჩინა და 1920 წ. კიდეც წამოეპოტინა საბჭოთა რუსეთის უდავო ნაწილებს. მას შემდეგ, რაც პოლონეთის ეს ცდა რამოდენიმეთ მაინც უნაყოფოთ დამთავრდა, ის მაინც თავს არ ანებებს მტრულ მოქმედებას საბჭოთა რუსეთის მიმართ. ევროპის ბურჟუაზიის მიერ წაქეზებული, ის ყოველ მისთვის მოხერხებულ მომენტში ააშკარავებს თავის ვერაგულ პოლიტიკას და აწარმოებს კამპანიას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მიუხედავათ ამისა კომუნისტური მოძრაობა და სიმპატიები საბჭოთა რუსეთისადმი პოლონეთში დღითიდღე იზრდება, პანებისათვის თანდათან უფრო საშიშ ხასიათს ღებულობს. პოლონეთის მთავრობა მოძრაობის ჩასაქრობათ რეპრესიულ ზომებს მიმართავს; და ამასთანავე ერთად ის, გრძნობს რა თავის აღსასრულის მოახლოებას, ქმნის სამხედრო კონვენციით [illegible] საბჭოთა რუსეთის მეორე მოსაზღვრე მტრულათ განწყობილ რუმინეთს. ორივე სახელმწიფოს—პოლონეთის და რუმინეთის მტაცებლური პოლიტიკა ერთმანეთს უკავშირდება და საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ არის მიმართული.

პოლონეთის ბურჟუაზია ამითაც არ კმაყოფილდება: რათა მასები თავის მტაცებლური მისწრაფებების მონაწილე გახადოს და ანტისაბჭოთა ტენდენციები გააღვივოს, ის სარგებლობს რუსეთში კათოლიკეთა რეაქციონური სამღვდელოების გასამართლებით და იწყებს საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო კამპანიას, აგზავნის საპროტესტო ნოტას რუსეთში და აწყობს მიტინგებს, სადაც გამოაქვთ რეზოლიუციები კომუნისტების წინააღმდეგ.

მთავრობის თავმჯდომარე სიკორსკიმ ერთი მიტინგის დეპუტაციას განუცხადა, რომ პოლონეთი ყოველთვის იზრუნებს რუსეთში მცხოვრებ პოლონელთა უფლებებზე. (სწორეთ მიტინგის შემდეგ ადგილი ჰქონდა ფართო მასშტაბით ებრაელთა პაგრომს. არის მრავალი დაჭრილები და მოკლულები). სიკორსკის განცხადება საეჭვო ხასიათისაა. პოლონეთის მთავრობის პოლიტიკის ხელმძღვანელმა იცის, რომ საბჭოთა რუსეთში რომელიმე ერის და, რასაკვირველია, პოლონელთა დევნასაც ადგილი არა აქვს? ეს რომ ასე არ ყოფილიყო, პოლონელი კომუნისტები რუსეთისკენ არ გამოეშურებოდენ. მაგრამ ამ განცხადებას სხვა სარჩული უდევს და ის ყველასათვის აშკარაა: სიკორსკი ეძებს, ევროპის ბურჟუაზიის სურვილების თანახმად, საბჭოთა რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის საბაბს.

მაგრამ საბჭოთა ფედერაციის მშრომელთაც არ სძინავთ და ძლევამოსილი წითელი არმია საკმაო დასვენების შემდეგ კიდევ უფრო დიდ გამარჯვებისათვის არის მზათ. საბჭოთა ხელ[illegible]ებისაკენ მიმართულ იარაღს ის [illegible] გადაატეხს მომხვდურთ და კ[illegible]ერნის წითელ დროშას ააფრიალებს [illegible], სადაც დღეს აღმართულია შავი დროშა რეაქციის...

ბ.

კომუნისტი

შაბათი, 14 აპრილი 1923 წ. № 83

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ფრანგების შეჭრა ნეკარში.

მოსკოვი. 13 აპრილი. მ. ნგეიმიდან იტყობინებიან, რომ ფრანგები შეიჭრნენ და დაიკავეს სამრეწველო ნავთსადგური ნეკარი.

ქალ. დიუმსბურგზე საოკუპაციო ხელისუფლებამ დაადო 75.000.000 მარკა ჯარიმა.

მრეწველებს განზრახვა აქვთ ობსტრუქციის გამოცხადება.

მოსკოვი. 13 აპრილი. რურის მრეწველებს, როგორც ჩანს, განზრახული აქვთ გადავიდნენ ენერგიულ ობსტრუქციაზე. „დეიჩე ცაგის ციტუნგის" ესსენელი კორესპონდენტი.

ოკუპაციის გარშემო

ინგლისის პოზიცია.

ბერლინი. 13 აპრილი, გაზეთ „ფოსსიშე ციტუნგის" სპეციალური კორესპონდენტი ლონდონში იუწყება, რომ შემდეგში, როგორც ამბობენ ლონდონის ავტორიტეტულ წრეები, ინგლისი საკონტრიბუციო საკითხში თავს დაიჭერს და ამ პოზიციას დაიცავს, სანამ გერმანიის და საფრანგეთის ოფიციალური წინადადებები საფუძველს არ მისცემენ მას შესცვალოს ეს პოზიცია. კორესპონდენტის ცნობით ლუშერის წინადადებაზე ნეიტრალური პოზიციიდან რურის საკითხში ინგლისი გადასულიყო აქტიურ პოლიტიკაზე, ბალდვინმა კატეგორიული უარი განაცხადა. ამავე გაზეთის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის საბოლოო პასუხი გამოქვეყნდება საფრანგეთის ელჩის ლონდონში სენ-ოლერის ბონარ-ლოუსთან თათბირის შემდეგ. ამის შემდეგ იქნება ნათელი თანახმაა თუ არა ინგლისი დაიკავოს რურის ოლქი საფრანგეთმა იმ დრომდი, სანამ გერმანია მთელ თავის ვალებს არ გადაიხდის.

კუნო პოლიტიკას ცვლის.

პარიზი. 13 აპრილი. ბერლინში კუნომ თათბირი გამართა პარტიის ლიდერებთან. თათბირზე სრული შეთანხმება მოხდა. ფიქრობენ, რომ კუნომ გადასწყვიტა უფრო აქტიური პოლიტიკა აწარმოოს.

უმუშევართა მოძრაობა.

ლონდონი. 13 აპრილი. „დეილი მელის" სპეციალური კორესპონდენტის ცნობით, დიუსბურგში 2000 მუშა შეიკრიბა ქალაქის თვითმართველობის შენობასთან თავისი მოთხოვნილებების წარსადგენათ. უმუშევრებს ისროლეს, მოკლეს 4 და დასჭრეს 136 კაცი. უმუშევართა მოძრაობა მოედო ფრანგების მიერ დაკავებულ ტერიტორიის სხვა სამრეწველო რაიონებსაც.

რკინისგზელების გადასახლება.

ბერლინი, 13 აპრილი. საოკუპაციო მთავრობა განაგრძობს რეინლანიდან რკინისგზელების გადასახლებას. გარეკეს თავისი ბინებიდან და გადაასახლეს 17.000 კაცზე მეტი.

ქ. ბიურის პროტესტი.

ბერლინი. 13 აპრილი. ქ. ბიურის თვითმართველობამ პროტესტი განაცხადა რკინის გზის ხიდის აფეთქებისათვის საოკუპაციო მთავრობის მიერ კონტრიბუციის სახით 50 მილიონი მარკის გაწერის გამო. პროტესტს ასაბუთებენ იმით, რომ ქალაქის თვითმართველობა ვერ აგებს პასუხს ხიდის აფეთქებაში, რომელსაც ფრანგი ჯარისკაცები იცავდნენ.

ბალდვინი უარყოფს.

ბერლინი. 13 აპრილი. თემთა პალატაში პასუხის დროს ბალდვინმა კატეგორიულათ უარყო ხმები, თითქო ინგლისის მთავრობას აზრათ აქვს შესცვალოს თავისი პოლიტიკა რურში და მხარი დაუჭიროს საფრანგეთის აქტივობას. ეს ხმები წარმოიშვა ლუშერის ლონდონში ჩამოსვლამ.

რკინის გზის ხიდის აფეთქება.

მოსკოვი. 13 აპრილი. რურიდან იტყობინებიან, რომ ბიურერში მოხდა რკინის გზის ხიდის აფეთქება. ფრანგებმა ქალაქ ბიურერს დაადვეს 50 მილ. მარკა ჯარიმა.

ესსენის ამბები

საქსონიის ლანდტაგი ესსენის ამბების შესახებ.

მოსკოვი. 13 აპრ. საქსონიის ახალ ლანდტაგის სხდომაზე ლანდტაგის პრეზიდენტმა განაცხადა პროტესტი ესსენის სისხლის მღვრელ შეტაკების წინააღმდეგ. დამატებითი განცხადება იმავე საკითხზე გააკეთა კომუნისტმა ბეკერმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კრუპპის მუშები გახდნენ მსხვერპლი ნაციონალისტურ შუღლისა. მინისტრ პრეზიდენტ—ცეიგნერის განცხადებამ, რომ სანამ შეძლებული კლასები არ გაიღებენ მატერიალურ მსხვერპლს, საფრანგეთთან შეთანხმება არ მოხდება,—გამოიწვია ბურჟუაზიულ დეპუტატებში ხმები: „მოღალატე!" ცეიგნერი ენერგიულად იცავდა აგრეთვე მუშათა თავდაცვის ორგანიზაციას.

ახლო აღმოსავლეთი

ინგლისის დელეგაციის გამგზავრება.

პარიზი. 13 აპრილი. ლონდონიდან ინგლისის დელეგაცია გაემგზავრა ლოზანის კონფერენციაზე.

საბერძნეთი ჯიუტობს.

ბერლინი. 13 აპრილი. საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა რომ საბერძნეთის მთავრობა კატეგორიულად უარს ამბობს ოსმალეთისათვის კონტრიბუციის გადახდაზე და ამჯობინებს სრულებით არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებაზე.

სამხედრო ტყვეების გაცვლა.

პარიზი. 13 აპრილი. ათენში ჩავიდა ეშელონი, რომლითაც დაბრუნდა საბერძნეთის 2,800 სამხედრო ტყვე. დანარჩენები დაბრუნდებიან სამშობლოში ზავის ჩამოგდების შემდეგ.

უარყოფა.

რომი. 13 აპრილი. ბელგრადიდან ოფიციალურად უარყოფენ ხმებს სამხრეთ-სლავიის „ფედერატიულ მონარქიად" გამოცხადების შესახებ.

ოსმალეთი და ამერიკა

პროექტი მიღებულია.

მოსკოვი. 13 აპრილი. მიღებულ ცნობების თანახმად ანგორის ეროვნულმა ყრილობამ ხმების უმრავლესობით დაადგინა მისცეს ამერიკულ საზოგადოებას ჩესტერს კონცესია ანატოლიაში ახალი რკინის გზების გაყვანის. ნავთსადგურების, ქალაქების და მინერალურ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის სამონოპოლიოთ. ამ ცნობამ მოკავშირეთა გაზეთებში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია. სტამბოლში გამოსული ფრანგული გაზეთი სწერს: „ჩესტერის კონცესიების დამტკიცება არის მოტყუება და ოსმალეთის მონობას უქადის, აძლევს რა კონცესიებს ამერიკელებს ოსმალეთი ძალიან ასუსტებს მოკავშირეთა პოზიციას ლოზანაში". მეორის მხრივ გაზეთ „მანჩესტერ გარდიენი ესალმება კონცესიებს და ფიქრობს, რომ ეს აიძულებს ამერიკას მიიღოს მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტაში.

მოკავშირეები უკმაყოფილონი არიან.

მოსკოვი, 13 აპრილი. ვაშინგტონის დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ ინგლისის და საფრანგეთის უკმაყოფილებას ჩესტერისათვის ანგარიში ნავთის კონცესიების მიცემის გამო გაზ. „იუნაიტედ პრესის" ცნობით დიპლომატიურ მსოფლიოს ერთერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისს არ შეუძლია იცნოს კონცესიები ირაკში, რომელზედაც მას აქვს მანდატი.

პრესა კონცესიების შესახებ.

მოსკოვი, 13 აპრილი. გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნის" ცნობით, ჩესტერის კონცესიების დამტკიცება ჯერ კიდევ ოფიციალურად არ დადასტურებულა გაზ. „ჟურნალ დესტამბული" აღნიშნავს, რომ ეროვნულ ყრილობის მიერ ამ კონცესიების დამტკიცების შემდეგ ოსმალეთი გადაიქცევოდა ამერიკის კოლონიად.

ჩესტერის კონცესია დამტკიცებულია.

ბერლინი. 13 აპრილი. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 186 ხმით წინააღმდეგ 21 ხმისა მოიწონა ეგრედ წოდებული ჩესტერის პროექტი კონცესიის შესახებ.

საფრანგეთის პროტესტი,

პარიზი 13 აპრილი. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა გენ. პელლემ გადასცა სტამბოლის სამხედრო გუბერნატორს ალილ-ფაშას საფრანგეთის ოფიციალური პროტესტი ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონ-პროექტის წინააღმდეგ, რომლითაც ამერიკის კამპანიას ჩესტერის მეთაურობით ეძლევა კონცესია ოსმალეთის რკინის გზების გაყვანისა და ნავთიანი ადგილების ექსპლოატაციისათვის. პროტესტი ემყარება იმაზე, რომ ასეთივე კონცესია მიეცა სულთანის მთავრობის კამპანიის ჯერ კიდევ 1914 წელს, აპრილში, საფრანგეთის მიერ ოსმალეთისათვის სესხის მიცემის ნაცვლად აღნიშნავს რა, რომ სამსუნ-სივაშის რკინის გზის გაყვანისათვის მუშაობის ნაწილი უკვე შესრულებულია და რომ საფრანგეთის საალმშენებლო კამპანია მზად არის შეუდგეს მომავალ მუშაობას, საფრანგეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის არ დაუშვებს იმას, რომ ოსმალეთის მთავრობამ არ შეასრულოს 1914 წლის თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი.

პროლეტარული დახმარება საბჭოთა რუსეთს

მოსკოვი 13 აპრილი. ერფურტის კოოპერატივის „სახალხო ძალის" საზოგადო კრებაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ხელი მოაწერონ საბჭოთა რუსეთისათვის საერთაშორისო პროლეტარულ დახმარების სესხზე.

კომუნისტების პროცესი

87 კომუნისტების პროცესი.

პარიზი. 13 აპრილი. უნგრეთში დაიწყო 87 კომუნისტების პროცესი, რომელთაც ბრალი ედებათ პროპაგანდაში და სარევოლიუციო გამოსვლებში. ფიქრობენ, რომ პროცესი გასტანს რამოდენიმე კვირას.

ამერიკელ კომუნისტების დაპატიმრება.

ბერლინი. 13 აპრილი. ვაშინგტონიდან მოსულ ცნობებით ამერიკაში დააპატიმრეს ბევრი კომუნისტები.

ინგლისის პროლეტარიატი კომუნისტებს უჭერს მხარს

მოსკოვი. 13 აპრილი. კომუნისტური გაზეთი „უორკინზ უიკლი" იუწყება, რომ პროლეტარიატის ფართო მასები ადგილებზე ძლიერ უკმაყოფილო არიან მუშათა პარტიის დადგენილებით კომუნისტების თავისი რიგებიდან გამორიცხვის შესახებ. მუშათა პარტიის ნიუკესტლის განყოფილების მიერ გამოქვეყნებულმა წერილმა კომუნისტების პარტიიდან გაძევების შესახებ სასტიკი და ენერგიული პროტესტია გამოიწვია პარტიის უბრალო წევრების მხრივ და უშედეგოთ დარჩა. მუშათა პარტიის ხახზომ ნადრიჯში ერთხმად გამოიტანა დადგენილება კომუნისტების პარტიიდან გაძევების შესახებ გამოტანილი რეზოლიუციის წინააღმდეგ. პარტიის გლაზგოს ბიურომაც დაადგინა მხარი არ დაუჭიროს ამ დადგენილებას, ასეთივე დადგენილებები მიიღეს ინგლისის სხვა ქალაქებშიც.

ინგლისში

მთავრობის მარცხი ინგლისში.

მთავრობამ დაკარგა თავისი პრესტიჟი.

მოსკოვი. 13 აპრილი. თემთა პალატის 12 აპრილის დილის სხდომაზე ინგლისის მთავრობა შეეცადა გამოესწორებინა თავისი გუშინდელი დამარცხება და ხელახლა წამოაყენა იგივე საკითხი, რომლის კენჭისყრის დროსაც მან მიიღო ხმების უმცირესობა პარლამენტში მთავრობის თვალსაზრისზე მდგომ ბალდვინისა და ოპოზიციის მეთაურის მაკდონალდის შორის მოხდა შეკამათება. ბალდვინი, აღიარებდა რა, რომ გუშინდელი სხდომა მთავრობის მარცხით დასრულდა, მაინც ამტკიცებდა, რომ მთავრობის წინადადება შეიძლება განხილულ იქნას ხელახლა, რადგან მთავრობას არ დაუკარგავს პალატის ნდობა. ამ ნიადაგზე გაიმართა კამათი, რომელმაც ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ თავმჯდომარე იძულებული იყო შეეწყვიტა სხდომა, რომ „დაემშვიდებინა დეპუტატები". პარლამენტის ორი წევრი ხელითაც შეეხნენ ერთმანეთს ინგლისის გაზეთები ერთხმად ამტკიცებენ, რომ მთავრობამ დაჰკარგა თავისი პრესტიჟი.

ამერიკელები შფოთავენ.

მოსკოვი. 13 აპრილი. ინგლისის მთავრობის დამარცხება აურზაურს იწვევს ამერიკის მთავრობაში, რომელიც შიშობს, რომ ინგლისის კაბინეტის დაცემა მოითხოვს ახალ მოლაპარაკებას ვალების შესახებ.

შეამბოხეთი მთავარსარდლის გარდაცვალება ირლანდიაში.

მოსკოვი. 13 აპრილი. დუბლინიდან მიღებულ ცნობის თანახმად, გარდაიცვალა ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს შეამბოხეთა მთავარსარდალი ლიამლინჩი, იმ ჭრილობებისაგან, რომელიც მან მიიღო ნიუკესტლში მთავრობის ჯარებთან შეტაკების დროს. მთელი პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს ლიამლინჩის გარდაცვალებას და ფიქრობს, რომ ეს გამოიწვევს დიდ ცვლილებას შეამბოხეთა მოძრაობაში.

მთავრობის დამარცხება.

მოსკოვი. 13 აპრილი. თემთა პალატაში მთავრობის უმაგალითო დამარცხების გამო მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ საჭიროა ემზადონ ახალი საარჩევნო კომპანიისათვის. ფინანსიურ ბილის განხილვის დროს მთავრობას ხმა მისცა 188 წევრმა, წინააღმდეგ 145-ისა. ამ ინციდენტს თვლიან იმ ფაქტორად, რომელიც მთავარ როლს ითამაშებს მთავრობის მომავალ პოლიტიკის შეცვლის საქმეში. მთავრობის პოლიტიკის შეცვლის მიზეზად ითვლება ამჟამად სასოფლო-სამეურნეო გაფიცვა. ფერმერები მოელიან მთავრობისაგან სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებს და ფიქრობენ, რომ თუ მთავრობამ არ დაეხმარა მათ, ისინი კიდევ უფრო შეამცირებენ სასოფლო-სამეურნეო მუშების ხელფასს. ვინაიდან დაიწყო საერთო კამპანია, რომელსაც აწარმოებენ კონსერვატორიული ორგანოებიც კი, ასეთ სუბსიდიების სასარგებლოთ შესაძლებელია ზოგიერთი ნამდვილი დათმობანი მთავრობის მხრივ.

ლოკაუტი ინგლისში.

ბერლინი. 13 აპრილი. მოლაპარაკებანი ინგლისის საალმშენებლო სამრეწველოს მწარმოებელთა და მუშათა შორის დასრულდა უშედეგოთ. შაბათიდან მწარმოებელნი ანგარიშს მისცემენ 11,000 საალმშენებლო მუშებს.

რუსეთი და ფინეთი

ემზადებიან.

მოსკოვი. 13 აპრილი. ფინეთში რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ჩერნიხმა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ ფინეთ-რუსეთის საზღვარზე არსებობს სამხედრო შკოლა, სადაც ფინელი ინსტრუქტორები კარელიის ლტოლვილებს სამხედრო წესებს ასწავლიან. ამას ჩადიან კარელიის მშრომელთა კომუნაზე ახალი თავდასხმის მოწყობის მიზნით. ნოტა მოითხოვს რუსეთ-ფინეთის მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებისათვის ამ ბლოკის დახურვას.

სხვადასხვა ამბები

გერმანია

მარტოვის დაკრძალვაზე.

მოსკოვი. 13 აპრილი მარტოვის დაკრძალვაზე, რომელიც მოხდა გუშინ, გამოცხადდნენ მრავალი საზღვარგარეთელი მენშევიკები. დაკრძალვის დროს სიტყვები წარმოსთქვეს კრისპინმა, აბრამოვიჩმა, წერეთელმა და ჩერნოვმა. დაკრძალვას დაესწრო აგრეთვე მაქსიმ გორკი და გერმანიის რეიხსტაგის პრეზიდენტი ლები.

მემელში გაფიცვა დამთავრდა.

მოსკოვი. 13 აპრილი. პარიზიდან მიღებულ ცნობით საყოველთაო გაფიცვა მემელში დამთავრდა. მუშაობა განახლდა.

არ მოსწონთ.

მოსკოვი. 13 აპრილი. ლატვიის პრემიერ მინისტრმა შრომის მინისტრთან საუბრის დროს გაილაშქრა წარმოებაში საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების არსებობის წინააღმდეგ.

არჩევნების თავისუფლება

მოსკოვი. 13 აპრილი. კოვნოში და საერთოდ მთელ ლიტვაში არჩევნების წინ გახშირდა მუშების დევნა და დაპატიმრება. კოვნოში დაატუსაღეს მუშათა სიის კანდიდატი კუბიცკი.

რუსეთ-ფინეთის ხელშეკრულების განხილვა.

მოსკოვი. 13 აპრ. ჰელსინგფორსში დამთავრდა რუსეთ-ფინეთის ხელშეკრულების შესახებ შეკითხვების განხილვა. ხელშეკრულება მოკლე ხანში გაირჩევა ფინეთის სახელმწიფო საბჭოში.

პროტესტები გაზ. „როტე-ფანეს" დახურვის წინააღმდეგ

მოსკოვი. 13 აპრილი. ბერლინში გაზ. „როტე ფანეს" დახურვის გამო გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო კრებები. მემარცხენე ბურჟუაზიული სოციალ-დემოკრატიული პრესა სასტიკად გმობს „როტე ფანეს" დახურვას. გაზეთი „ფორვერტსი" მოითხოვს ასეთი ზომის დაუყოვნებლივ გაუქმებას. გაზეთი ფიქრობს, რომ ასეთი ზომები მეტ ღირსებას მატებს კომუნისტებს.

საფრანგეთი

მუშების დაპატიმრება.

მოსკოვი. 13 აპრილი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ რუანში დააპატიმრეს ქვემო სენის პროფკავშირთა ფედერაციის დეპარტამენტის მდივანი გოტიე.

მოძრავი ქვაფენილები.

პარიზი. 13 აპრილი. პარიზის მუნიციპალიტეტმა დაადგინა პარიზის ბულვარებში მოაწყოს მოძრავი ქვაფენილები. მუნიციპალიტეტში შეტანილია ამგვარი ქვაფენილების შესახებ 12 პროექტი.

ბელგია

კომუნისტების პროცესი.

მოსკოვი. 13 აპრილი. ბრიუსელში დაიწყო 15 დაპატიმრებულ კომუნისტის პროცესი.

ნანსენი საბჭოთა რუსეთის ფინანსიურ აპარატის შესახებ.

მოსკოვი. 13 აპრილი. საბჭოთა რუსეთის შესახებ მორიგ წერილში ნანსენი აღწერს რუსეთის ფინანსიურ აპარატს და მოჰყავს ანგარიში ბანკის დირექტორთან შეიმანთან საუბრის შესახებ.

ჩინეთი

ანტი-იაპონიური მოძრაობა ძლიერდება.

მოსკოვი. 13 აპრილი ანტი-იაპონიური მოძრაობა ჩინეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჩინეთის ფირმები აუქმებენ ხელშეკრულებებს იაპონელებთან. ამ მოძრაობის ცენტრად ითვლება შანხაი.

შვეცია

შეიარაღებულ ძალების შემცირება.

მოსკოვი. 13 აპრილი. 3 წლის მუშაობის შემდეგ სპეციალურმა კომისიამ წარუდგინა სამხედრო მინისტრს დასკვნა შვეციის შეიარაღებულ ძალების შემცირების შესახებ, რომელიც ძალიან გაიზარდა 14 წელს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეხლანდელი რუსეთი არ წარმოადგენს უშუალო საფრთხეს სკანდინავიის ქვეყნებისათვის.

სპარსეთში რუსული გამოფენის ხელის შემწყობი კომისია.

მოსკოვი. 13 აპრილი. თეირანში საბოლოოთ მოეწყო სპარსეთში რუსული გამოფენისათვის ხელის შემწყობი კომისია. კომისიას ხელმძღვანელობს სპარსეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე.

ვილნოსა და [illegible] მიმოსვლის შეწყვეტა.

მოსკოვი. 13 აპრილი. [illegible] მთავრობის განკარგულებით ვილნოსა და ლიტვას შორის ყოველგვარი მიმოსვლა შეწყვეტილია.

უნგრეთი!

კეთილმორწმუნე მთავრობა.

პარიზი. 13 აპრილი. უნგრეთის პარლამენტში შეკითხვაზე გრაფ ბეტლენმა განაცხადა, რომ მთავრობის წარმომადგენლებს დასწრება იმპერატორ კარლოს პანაშვიდზე არ იყო პოლიტიკური დანაშაულობა და არც ამცირებს გაბსბურგების ტახტის ჩამოართმევის შესახებ კანონს, მხოლოდ ეს არის კეთილმორწმუნეობის ნიშანი.

გრაფ ბეტლენის განცხადებით საკითხი უნგრეთის ტახტის შესახებ უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

ავსტრია.

ფაშიზმი ავსტრიაში.

ბერლინი. 13 აპრილი. ავსტრიის ყოფილ მინისტრმა სოციალისტმა დეიტშემ განაცხადა საბიუჯეტო კომისიაში, რომ ავსტრიის ნაციონალისტების სამხედრო-საველე ვარჯიშობანი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს კოალიციასთან, არის ავსტრიის ფაშიზმის დასაწყისი, რომელსაც მუშებმა უნდა გამოუცხადონ მტკიცე ბრძოლა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ეპისკოპოსის გასამართლება

მოსკოვი. 13 აპრილი. ცარიცინში, საგუბერნიო სასამართლოში დაიწყო გასამართლება ყოფილ ეპისკოპოსის ნიფონტის, რომელსაც ბრალი ედება საეკლესიო განძეულობის გადამალვაში.

ციმბირის დახმარება სამხედრო ფლოტს

მოსკოვი. 13 აპრილი. „დობროლიოტის" ციმბირის განყოფილებამ გაჰკიდა 20.000 მან. ოქრო, აქციები.

რურის მუშების დასახმარებლად

მოსკოვი. 13 აპრილი. ვოლოგდის ფაბრიკის „სოკოლის" მუშები უგზავნიან რურის მუშებს ათას ფუთ პურს.

სრულიად უკრაინის პარტკონფერენცია

მიწის საკითხი

სრულიად უკრაინის პარტკონფერენციის 11 აპრილის სხდომაზე მიწის საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. კლიმენკო, რომელმაც აღნიშნა, რომ უკრაინის სასოფლო მეურნეობის პროდუქცია ამ ჟამათ უდრის ომამდის არსებულ პროდუქციის ერთ მესამედს. მრეწველობის პროდუქტების ფასებისა და სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასების შორის არსებული შეუსაბამობის ამხ. კლიმენკო ხსნის იმ გარემოებით, რომ პურის ექსპორტი არ დგას სათანადო სიმაღლეზე. აუცილებელია გატარდეს სასოფლო მეურნეობის ერთიანი გადასახადი, რადგანაც ბევრი სხვა და სხვა ნაირი გადასახადები, სთქვა კლიმენკომ, გლეხობაში იწვევს უკმაყოფილებას. გლეხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ებრძოლოს გადასახადების სფეროში არსებულ უსამართლობას. შემდეგ კლიმენკომ აღნიშნა, რომ უკრაინის სასოფლო მეურნეობა საგრძნობლათ იზრდება საკრედიტო პოლიტიკა უნდა იყვეს აშენებული ისეთ საფუძველზე, რომ თითეული კოლლექტივი იყვეს წევრი საკრედიტო საზოგადოებების. საჭიროა აგრეთვე გაუმჯობესებული იქნას მოჯამაგირეების მდგომარეობა, რომელნიც ცხოვრობენ მეტათ მძიმე პირობებში. კლიმენკოს მოხსენების გარშემო გამოწვეულ-კამათში ორატორები აღნიშნავდნენ მიწის რეჟიმისათვის ერთიანი გადასახადის დაწესების აუცილებლობას.

ეროვნული საკითხი

ეროვნული საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფრუნზე.

ფრუნზემ აღნიშნა, რომ ამ საკითხის დასმის აუცილებლობა გამოწვეულია ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლის საერთო მსვლელობით. ამხ. ლენინმა, სთქვა ფრუნზემ, მიუთითა პროლეტარიატის გლეხობასთან დაკავშირების აუცილებლობაზე. ცხოვრებაში ამგვარი დაკავშირების ცხოვრებაში გატარება რამოდენიმეთ ძნელია ეროვნული სახით ჩამოყალიბებულ რესპუბლიკებში. ამიტომ ასეთ რესპუბლიკების მდგომარეობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მორიგი ამოცანა—მოვამზადოთ ამხანაგები უკრაინულ ენაზე პროპაგანდის საწარმოებლათ პროლეტარიატის გლეხობასთან დაახლოების მიზნით საბჭოთა რესპუბლიკებმა უნდა უზრუნველყონ თითეული ეროვნების თავისუფალი განვითარება საბჭოთა მთლიანი ერთეულის ფარგლებში. ამხ. ფრუნზეს მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი. ამხ. რაკოვსკიმ სთქვა: ჩვენ შეგვიძლია შევინარჩუნოთ რევოლიუციონერი მოწინავე ქვეყნის [illegible] რომელიც ხელმძღვანელობს იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ დაბეჩავებულ ერთა ბრძოლას აღმოსავლეთში და დასავლეთში იმ პირობით, თუ ჩვენ თვით რუსეთში ვაწარმოებთ ის ეროვნული პოლიტიკა, რომლისათვის ვიბრძვით ჩვენი საზღვრების გარეშე.

ამხ. ფრუნზემ სიტყვის ბოლოში აღნიშნა, რომ ყველა კომუნისტის ვალია გამოიჩინოს მოთმინების მაქსიმუმი ყველა იმ ერთა მიმართ, რომელნიც წინეთ იყვნენ დამონავებულნი. თეზისები ეროვნულ საკითხის შესახებ მიიღეს ერთხმად. თავი შეიკავა ოთხმა.

კონფერენციის დახურვა.

მოსკოვი, 13 აპრილი. 10 აპრილს საღამოს სრულ. უკ. პარტკონფერენციამ დაამთავრა თავისი მუშაობა. კონფერენციის დახურვისას ამხ. პეტროვსკიმ სიტყვის ბოლოში აღნიშნა: „ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენი კონფერენციის მუშაობა ჩატარდა გაცილებით მეტ წარმატებით, შედარებით წასულ კონფერენციასთან. ეს ამტკიცებს კონფერენციის მონაწილეთა შეგნების ზრდას ამ ჟამათ ამხ. ილიჩის ავათმყოფობის გამო ჩვენ გვმართებს მეტათ სერიოზული და საპასუხისმგებლო მუშაობა პარტიის ბედისა და რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

მოგესალმებით თქვენ კონფერენციის ბრწყინვალეთ დამთავრებას, რომლის ნაყოფი წავა მსოფლიო რევოლიუციისა და კომუნიზმის გასაძლიერებლათ. კონფერენცია იხურება ინტერნაციონალის ერთხმოვანი სიმღერით.

სრულიად უკრაინის ალმასკომის სესია

მოხსენება კავშირის შესახებ

მოსკოვი. 13 აპრილი. 11 აპრილს, ამხ. პეტროვსკის თავმჯდომარეობით გაიხსნა სრულ. უკრ. ალმასკომის მორიგი სესია. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა და საკავშირო ხელშეკრულობის საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფრუნზე. მან მიუთითა, რომ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ხელშეკრულებამ მინიმალური სახით უნდა უზრუნველყოს ჩვენი სახელმწიფო აპარატის მიზნები მთლიანათ და კავშირის ნაწილთა ინტერესები—ცალ-ცალკე ცალკე რესპუბლიკების და ეროვნებათა განსაკუთრებულ ინტერესების უზრუნველ საყოფათ რ. კ. პ. წამოაყენა ხელისუფლების უზენაესი დამატებითი ორგანოს იდეა, რომელიც წარმოადგენს კავშირის წევრებიდან შემდგარ მეორე პალატას. უკრაინის მთავრობა სავსებით იზიარებს ამ თვალსაზრისს.

კამათი.

ამხ. ფრუნზეს მოხსენების შესახებ კამათში მონაწილეობა მიიღეს ორატორების მთელმა რიგმა. ამხ. პარიიკომ განაცხადა, რომ მეორე პალატის შექმნის იდეა გლეხობაში დიდ კმაყოფილებას იწვევს. დარბაზში ტაშს უკრავს გლეხი დუბოვოი აცხადებს, რომ გლეხები ყურს არ უგდებენ ბნელ აგიტატორებს. ჩვენ ვიცით, ამბობს დუბოვოი, რომ უკრაინის ინტერესები მომავალ კავშირში სავსებით უზრუნველყოფილი იქნებიან. გლეხობის სურვილი ნათლად იქნეს გარკვეული მეორე პალატის ფუნქციები. ამხ. ფრუნზე განმარტავს, რომ ამ პალატის ფუნქციები ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული. სრულ. რუს. ალმასკომის ორივე საკავშირო პალატები და ნაციონალური წარმომადგენლობის პალატა იქნებიან აღჭურვილნი თანასწორი პირობებით.

წინააღმდეგ დასავლეთ ევროპისა,

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცირკულიარი მუშათა პრესის შესახებ

საბჭოთა პრესის ორგანოებში ხშირად არის მოთავსებული შენიშვნები, კორესპონდენციები და ცნობები მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და საბჭოთა ან სხვა რომელიმე დაწესებულების, წარმოების თანამდებობის პირთა მუშაობის შესახებ. ზოგიერთ გაზეთებში გამოყოფილია, მათ ყავთ მუდმივი მუშათა კორესპონდენტები („მუშკორები"), რომლებიც სისტემატიურად აშუქებენ სხვა და სხვა, უმთავრესად, არა ნორმალურ მახინჯ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვთ საბჭოთა და სხვა დაწესებულებებში და წარმოებებში.

პრესაში შენიშნულია და აღნიშნულია, რომ ძალიან ხშირათ გაზეთის სრულიათ სწორი გამომჟღავნებები არ აღწევენ მიზანს და უყურადღებოთ რჩებიან.

თუმცა მრავალი მათგანი იუწყებიან აღმაშფოთებელ არა ნორმალობაზე, საბჭოთა ხელისუფლების ამოცანათა და მოთხოვნილებათა შებღალვასა და დამახინჯებაზე.

მაგრამ ეს არ კმარა, გამომჟღავნებული დამნაშავენი ან პასუხისმგებელი დამნაშავენი ან პასუხისმგებელი პირები, იჩენენ რა დაუშვებელ უყურადღებობას მუშათა პრესისადმი, თავის ბოროტ საქციელს აღრმავებენ კიდევ უფრო დიდის ბოროტ-მოქმედებით—მუშათა კორესპონდენტების დევნით და თავიდან მოშორებით.

აღნიშნულ უმსგავსობასთან ულმობელ ბრძოლის მიზნით და აგრეთვე, მშრომელთა ფართო წრეებში საბჭოთა პრესის მდგომარეობის, ძალისა და ავტორიტეტის განვითარებისა და გამტკიცებისათვის, ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი ამით წინადადებას გაძლევთ თქვენ, მიიღოთ გადამჭრელი ზომები აღნიშნულ დეფექტების ნამდვილი და სწრაფ აღმოფხვრისა და ზემოთ დასახელ მიზნების მიღწევისათვის.

იმ ზომების გარდა, რომლებსაც თქვენ თვითონ, ადგილისა და დროის პირობებთან და გარემოებებთან შეფარდებით აუცილებლათ და მიზანშეწონილათ მიიჩნევთ ა. კ. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გაატაროთ შემდეგი ზოგადი ზომები.

1. დაუყოვნებლივ იზრუნეთ საბჭოთა პრესის განსაკუთრებით პოპულიარულ ადგილობრივ ორგანოთა საჭირო რაოდენობის ეგზემპლიარების რეგულიარულ მიღებაზე ხელის მოწერის შესახებ თქვენი დაწესებულებისა (წარმოების) და მისი ცალკე ნაწილებისათვის (ორგანოებისათვის).

2. დაწესებულებების (წარმოებების) გამგეები და პასუხისმგებელ თანამდებობის პირნი ვალდებული არიან თავისი ინიციატივით და პირად პასუხისმგებლობის ქვეშ მიიღონ ყოველგვარი მათზე დამოკიდებული რეალური ზომები გადაჭრით და სწრაფ ალაგმვისაკენ გაზეთებში აღნიშნულ უწესრიგობისა. სულ ერთია ეხებიან ისინი მათ, თუ მათზე დაქვემდებარებულ ორგანოებს და პირთ და შედეგების შესახებ აუწყონ გაზეთს და სათანადო მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

უკეთუ საკუთარ ძალებით და საშუალებებით ამ დეფექტების აცილება შეუძლებელია, აღნიშნულ პირებს მართებთ დაუყოვნებლივ მიმართონ დახმარებისათვის სადაც ჯერ არს და იმავე დროს აცნობონ ამის შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციის და პრესის ორგანოებს დეფექტების წყაროსი და მიზეზების აღნიშვნით.

3. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოთა სათანადო განყოფილებების (ქვე-განყოფილებებისა და სხვ.) უფროსები არ უნდა დაკმაყოფილდენ მარტოოდენ წინ მუხლში ნაჩვენებ მოთხოვნილებათა კონტროლის ქვემდებარე ადგილებისა და პირების მიერ შესრულების მეთვალყურეობით, არამედ ვალდებულნი არიან აგრეთვე ყოველ დღე თვალ ყური ადევნონ ადგილობრივ საბჭოთა პრესას და ამა თუ იმ გზით მოაწესრიგონ ცნობების შემოწმება იმ უარყოფითი ფაქტების შესახებ, რომლებსაც სერიოზული საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ. განსაკუთრებული ყურადღება ამ შემთხვევაში უნდა მიექცეს მუშათა კორესპონდენტების დევნისა და საბჭოთა პრესისადმი უყურადღებობის შემთხვევებს.

4. უკეთუ ასეთი ფაქტების არსებობა შემოწმების შემდეგ დადასტურებული იქნება, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები დაუყოვნებლივ მიმართავენ ყველა იმ ზომებს, რომლებიც საჭიროა არა ნორმალური მოვლენების და მისი მიზეზების მოსპობისათვის და, როდესაც საჭიროა, მოითხოვენ დათხოვნას, პასუხისგებაში მიცემას და დასჯას სასამართლო დისციპლინარულ ან ადმინისტრატიულ წესით იმ პირთა, რომლებიც დამნაშავენი არიან.—განსაკუთრებით, მათი ინიციატივით საჭირო ზომების მიუღებლობაში (მე-2 პ.) და მუშათა კორესპონდენტების დევნაში. იმ შემთხვევებში, როდესაც ეს საჭიროთ და მიზანშეწონილათ ჩაითვლება, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით შეუძლიათ გამოვიდნენ სასამართლოში, როგორც ბრალმდებელნი.

შენიშვნა: 1) საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებთან პარალელიზმის ასაცილებლათ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები ვალდებული არიან შეთანხმდნენ ადგილობრივ პროკურატურასთან მათი სფეროების და ორივე ორგანოს მონაწილეობის სტადიისა და ხარისხის განსასაზღვრელათ.

შენიშვნა: 2) უკეთუ ამა თუ იმ ადგილას სათანადო ინსპექცია არ არსებობს, ამ ცირკულიარში აღნიშნული ფუნქციები ინსპექციის იქ მყოფ ან უახლოეს რომელიმე ორგანოს, რომელიც საჭიროებასთანავე ან, ყოველ შემთხვევაში, გამოძიების შემდეგ აუწყებს შედეგებს იმ ინსპექციას, რომლის კონტროლის ქვეშ იმყოფება ესა თუ ის დაწესებულება, წარმოება ან პირი.

5. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოების უფროსები მჭიდრო კავშირში შედიან ადგილობრივ გაზეთების რედაქციებთან (და მუშათა კორესპონდენტების ორგანიზაციებთან), ზრუნავენ გამოაქვეყნონ როგორც ეს ცირკულიარი, ისე გაზეთის ცნობების გამო (ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივ მნიშვნელობის მასალის გამო) წარმოებული გამოძიება და ნამდვილათ მიღწეული შედეგები.

ამასთანავე არ უნდა იქნეს დაუშვებული ცნობების წინასწარი გამჟღავნება, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს შემდეგი გამოძიების წარმოება, დაკითხვა ან მუშათა კორესპონდენტების შემდეგი მუშაობა. მეორე მხრით საჭიროა ჩაბმა მუშათა კორესპონდენტების, როგორც მშრომელთა შორის განსაკუთრებით მედგარ და შეგნებულ ელემენტის. ინსპექციის ორგანოებთან მჭიდრო და ცოცხალი ურთიერთობაში, მათი დაახლოვება გამოძიების წარმოებასთან დაინტერესება საინსპექციო—სარევიზიო მუშაობით დაწესებულებებსა და წარმოებებში და მათი დახმარებით ინსპექციისა და მუშათა პრესისადმი დახმარების იაჩეიკების შექმნა.

6. უკეთუ საინსპექციო შემოწმება არ დაადასტურებს გაზეთში აღნიშნულ ფაქტებს ან თუ ასეთ შემთხვევებში გამოირკვევა, რომ კორესპონდენციები და ცნობები არის შედეგი ავტორების მხრით სინამდვილისა და მუშათა პრესის მიზნების და ამოცანებისადმი ფუქსავატ და არა კრიტიკულ დამოკიდებულებისა, ან თუ მათ მიზნათ აქვთ კერძო ანგარიშის გასწორება, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები მიაქცევენ პროფესიონალურ, პარტიულ და პრესის განსაკუთრებულ ყურადღებას ამ გვარ [illegible] და მავნე დამახინჯებაზე.

7. ამ ცირკულიარის შესრულებისათვის თავის მუშაობის შედეგების შესახებ ინსპექციის ორგანოები ვალდებულნი არიან ყოველთვიურათ, არა უგვიანეს შემდეგი თვის 5—10 რიცხვისა წარადგინონ ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში (ასლი სათანადო გაზეთს) საანგარიშო ცნობები მოკლე მოხსენების და ციფრების ნუსხის თანდართვით შემდეგი რუბრიკებით.

ა) რაოდენობა გაზეთის ცნობებისა თქვენი კონტროლის სფეროს შესახებ და წარმოებულ გამოძიებების, შემოწმების რიცხვი.

ბ) რამდენი ცნობა გამართლდა შემოწმების შემდეგ და რამდენი არ გამართლდა სავსებით ან ნაწილობრივ.

გ) რამდენ შემთხვევაში იყო მოსპობილი დეფექტები ინსპექციის ჩაურევლად ან მის ჩარევამდე (კონტროლის ქვეშ მყოფ ორგანოს მიერ ან სხვა რომელიმე ორგანოს ჩარევით—სახელდობრ რომლის).

დ) რაოდენობა შემთხვევების, რომლებშიაც დეფექტები აცილებულ იყვნენ ინსპექციის ჩარევის წყალობით.

ე) რაოდენობა შემთხვევების, რომლებშიაც დეფექტები არ იყვნენ მოსპობილი ინსპექციის ჩარევის მიუხედავათ, მიზეზებისა და შემდეგ მიღებული ზომების აღნიშვნით.

ვ) რაოდენობა იმ შემთხვევების—(რა ხასიათის არის ეს შემთხვევები), რომელთა შედეგები თქვენ აუწყეთ პრესას და რამდენი შემთხვევა იყო გამოქვეყნებული გარეშე პირთა ცნობების გამო.

ზ) რამდენ შემთხვევებში როგორი ზომები იყო მიღებული ინსპექციის მიერ დეფექტების აცილების მიზნით (მოლაპარაკება ან მიწერ მოწერა სათანადო უფროსებთან და პირებთან, ინსპექციის კატეგორიული მოთხოვნა, დამნაშავე პირთა დათხოვნა, ადმინისტრატიული და დისციპლინარული დასჯა, პასუხისგებაში მიცემა ან გამოძიება, პროფესიონალურ ან პარტიულ ორგანიზაციების იძულება და სხვ.).

თ) ყველა ამ საკითხების საპასუხოთ აღნიშნული უნდა იქნეს ცალცალკე შემთხვევების რიცხვი ყოველ დაწესებულების (წარმოების) ან ერთგვარ დაწესებულებათა ჯგუფის მიხედვით, დეფექტების და უწესრიგობის ტიპის, ხასიათის, დამნაშავე და დაზარალებულ პირთა თანამდებობის და სოციალურ მდგომარეობის და გაზეთის სახელწოდების აღნიშვნით; გარდა ამისა საგანგებოთ უნდა აღინიშნოს მუშათა კორესპონდენტების დევნისა და სხვა საშუალებით მუშათა პრესასთან ბრძოლის შემთხვევები.

ი) რაოდენობა დახმარების იაჩეიკების და ადგილებზე მუშათა კორესპონდენტებთან კავშირებისა, რომლებიც აღმოცენდნენ ზემო აღნიშნულ მუშაობის პროცესში (მე 5 პარ.) დაწესებულებების (წარმოებების) გვარისა და ტიპის აღნიშვნით.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში წარსადგენ ანგარიშებში აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე როგორი ზომები იყო თქვენ მიერ მიღებული ამ ცირკულიარის განსახორციელებლათ. გარდა ამისა აქ აღნიშნულ ზომებისა და როგორ დაბრკოლებებს ხვდებოდით თქვენ მათი პრაქტიკაში გატარების დროს.

გაზეთების გამოწერისათვის საჭირო მატერიალური საშუალებებით იმ თანხებიდან უნდა ისარგებლოთ, რომლებიც გაღებულია ხარჯთაღრიცხვით საკანცელარიო და სხვა საჭიროებებზე.

ინსპექციის ორგანოები ამოწმებენ ამ ცირკულიარის მიღებას მათ კონტროლის ქვეშ მყოფ დაწესებულებების მიერ და მიუღებლობის შემთხვევაში აცნობებენ მათ უშუალოდ.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მაგიერ **აღნიაშვილი.**

ამიერ კავკასიის ს. ფ. ს. რ. მ. და გ. ინსპექციის ს. კ-ის ადმინისტრატიულ სამმართველოს უფროსი [illegible]

საერთო გან. უფროსი ლ. ა. ჯიქია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების მუშაკის 50 წლის იუბილე

(მოწოდება).

ამა წლის 24 აპრილს (სამშაბათს) რუსთაველის თეატრში დანიშნულია აფრასიონ ჯაფარიძის საიუბილეო დღესასწაული, სახალხო განათლების ასპარეზზე, მისი 50 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

იუბილიარი აფრასიონ ჯაფარიძე 50 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ენერგიულად მუშაობდა სახალხო განათლების ხარბიელზე. ამ ხნის განმავლობაში იგი ღირსეულად ატარებდა სახალხო მასწავლებლის დროშას, როგორც მოწინავე თაობის ერთგული და საუკეთესო აღზრდილი.

იუბილიარის პირადი ღირსებები, მისი თავგადასავალი, მისი მოღვაწეობის პირველ ხანებში მუშაობა განსაკუთრებით პროვინციაში, სადაც მას არა ერთხელ უხდებოდა შეტაკება სახ. განათლების დირექტორებთან და ოლქის აგენტებთან ქართული ენის დაცვის ნიადაგზე, უტყუარი თავდებია იმისა, რომ ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება ჩვენს მოწოდებას და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საიუბილეო დღესასწაულში, რათა დამსახურებული და ღირსეული სახალხო მასწავლებლის 50 წლის იუბილე შესაფერისი სიდიადით და ზეიმით ჩატარდეს.

პროვინციის მასწავლებლებმა, ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა იუბილეში, წინასწარ უნდა აცნობონ საიუბილეო კომიტეტს შემდეგის მისამართით:

ტფილისის აღმასკომის სწავლა-განათლების განყოფილებაში.

ტფილისში.

საიუბილეო კომიტეტი.

საბჭოთა სახელმწიფო დგას მუშაობის წარმატებით დაგვირგვინებისა და ნაციონალური შუღლის და წინააღმდეგობათა ლიკვიდაციის წინაშე

რეზოლუცია.

ამხანაგ ფრუნზეს მოხსენებით ერთხმად მიიღეს რეზოლუცია რომელიც ადასტურებს უკრაინის საკითხში და რესპუბლიკების კავშირის შესახებ, აღებულ პოზიციას, სხდომის გლეხთა ნაწილის მოთხოვნით რეზოლუციას დაემატა წინადადება მთავრობისადმი განაგრძოს მან მუშაობა წინანდელ მიმართულებით. გლეხები მხურვალე ტაშით შეხვდნენ მიღებულ რეზოლუციას. შემდეგ აღმასკომი გადადის უკრაინისა და ესტონეთის შორის დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაციაზე. ფინანსიურ საკითხების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნავიცკი, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ უკრაინას ექნება თავისი საკუთარი ბიუჯეტი.

ვაჭრობა-მრეწველობა.

შეეხო რა ვაჭრობას და საგადასახადო პოლიტიკას მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვაჭრობის ბრუნვა თან და თან იზრდება. წასულ წლის ოქტომბერში შესრულდა ამოცანების 60 პროც., მიმდინარე წლის მარტში —126 პროც. უკანასკნელ თვეებში საკრედიტო დაწესებულებანი უკრაინაში ძალიან გაიზარდა. გაიხსნა 60 შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოება და არსდება სასოფლო მეურნეობის ბანკები. ჯერ არ არის მაგარი ფინანსიური მეურნეობა, მაგრამ ყველა ნიშნებია ფინანსების გაჯანსაღების.

უცხოეთის ცხოვრება

ამერიკა და რუსეთი

ამერიკულ გაზეთების ცნობით ვაშინგტონის მთავრობა მზად არის ოფიციალურად იცნოს საბჭოთა მთავრობა. სარწმუნო გაზეთების ცნობების თანახმად, ვაშინგტონის მთავრობა საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს მაშინ, როდესაც პრეზიდენტი გარდინგი დაბრუნდება ფლორიდადან, სადაც ის შვებულებაში იმყოფება.

ვაშინგტონის მოსკოვთან დამოკიდებულების ასეთ ცვლილების მიზეზად ითვლება ორი გარემოება, როგორც ამაზე სწერენ ამერიკული გაზეთები. ჯერ ერთი საბჭოთა მთავრობამ თავის 5 წლის არსებობით დაამტკიცა, რომ ახალი რეჟიმი რუსეთში იმდენად მტკიცეა, რომ ამას ველარ უარყოფენ ვაშინგტონის ბიუროკრატებიც კი. საბჭოთა რუსეთისადმი დამოკიდებულების შეცვლის მიზეზად ითვლება სავაჭრო და სამრეწველო წრეების ზეგავლენა, რომელნიც მოითხოვენ რუსეთთან ოფიციალური ურთიერთობის განახლებას, შიშობენ რა, რომ სხვა ქვეყნები, განსაკუთრებით ინგლისი, ხელში ჩაიგდებს რუსეთის ბაზარს. უკანასკნელ ხანებში მოძრაობამ საბჭოთა რუსეთის ცნობის სასარგებლოთ, რომელსაც მეთაურობს სენატორი ვილიამ ბორა, მოიპოვა მრავალი მიმდევრები სენატორებს შორის, რომელნიც ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრობლემებს უფრო მოფიქრებით ეკიდებიან, ვიდრე კონგრესის წევრები. ეს სენატორები იღებენ აქტიურ მონაწილეობას იმ მიტინგებში, რომელსაც მართავს ბორა. ერთ-ერთ ასეთ მიტინგზე ბრუკლინში დაესწრო ნიუ-იორკის სავაჭრო და სამრეწველო წრეების 2500 წარმომადგენელი. ამ კრებებზე ბორამ და სხვა ორატორებმა გააშუქეს რუსეთის რევოლუციის განვითარების მთავარი მომენტები და გააცნეს მოხსენება რუსეთის ეხლანდელ პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობის და განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ, რომელმა პოლიტიკამაც გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ცნობა მთელ რიგ სახელმწიფოების მიერ. სენატორი ბორა ამასთანავე ჰკიცხავდა ამერიკის მთავრობას, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუძლია უარი სთქვას მეფის ელჩის ბახმეტიევის მიერ შთაგონებულ ტრადიციებზე“.

ამავე კრებებზე მათ განაცხადეს, რომ საბჭოთა მთავრობის მიწვევით რამდენიმე სენატორი და კონგრესის წევრი მიემგზავრებიან რუსეთში იმისათვის, რათა ადგილობრივ გაეცნონ რუსეთის პოლიტიკურ და სოციალურ პირობებს. ამ გამგზავრებას ამერიკის საზოგადოებრივი აზრი დიდი ინტერესით ეპყრობა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

რევოლუციონური მოქმედება.

ავსტრიის პროლეტარიატი გამოდის.

მოსკოვი. 13 აპრილი. რევოლუციონურ პროფკავშირთა აღმასკომის კონფერენციამ დაადგინა ფრანკფურტის კონფერენციის რეზოლუციის შესრულების მიზნით საერთაშორისო პროლეტარიატის აქტიურად გამოსვლის შესახებ, გამართოს 18 აპრილს მთელ ავსტრიაში მუშათა მასიური დემონსტრაციები შემდეგ ლოზუნგებით: „რურის ოკუპაციის, სამხედრო მზადების და საერთაშორისო ბურჟუაზიის მტაცებლურ გეგმის, მსოფლიო რეაქციის და პროლეტარიატის ჩაგვრის, ხელფასის შემცირების წინააღმდეგ, 8 საათის სამუშაო დღის, პროლეტარიატის შეიარაღების, პროლეტარიატის მიერ კაპიტალისტურ ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლის და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესის მოწვევის სასარგებლოთ, ერთიანი პროლეტარული ფრონტის მოწყობის მიზნით.

ბუდაპეშტის მუშები იბრძვიან.

მოსკოვი. 13 აპრილი. ბუდაპეშტის მუშები განაგრძობენ ბრძოლას შრომის ხელფასისათვის. ამის გამო ქალაქის საბჭო შეეცადა გაფიცულები შტრეიკბრეხერებით შეეცვალა. პოლიცია იმუქრება რეპრესიული ზომების მიღებით თუ გაფიცვა გადავიდა წყალსადენზე, გაზის ქარხანაზე და ელექტრონის სადგურზე.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ნავთსადგურში

ბათუმი. 12 აპრილი. ტრიესტიდან იტალიის დროშის ქვეშ მოვიდა გემი „მუკოვინა“ და ოდესიდან საბჭოთა დროშის ქვეშ გემი „ნოვოროსიისკი“. გემი „პორტ-ირმი“, რომელმაც წაიღო 2,500 ტონა სხვადასხვა საქონელი სტამბოლისაკენ გავიდა.

ოქროს სესხი

ბათუმი. 13 აპრ. ბათუმის კომუნალურმა მეურნეობამ თავის თანამშრომლებისათვის შეიძინა ოქროს მომგებიანი სესხის ობლიგაციები 1,000 მანეთის.

საავადმყოფო გამასწორებელ სახლთან

ბათუმი. 13 აპრ. მთავრდება საავადმყოფოს მოწყობა გამასწორებელ სახლთან, რომელშიც შეიძლება მოთავსდეს 40 კაცი.

რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის კანტორა.

ბათუმი. 13 აპრილი. რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის ბათუმის კანტორამ სტამბოლში გაგზავნა სპარსული საზნის დიდი პარტია!

სასურსათო კამპანია.

ბათუმი. 13 აპრილი. აჭარაში მოგზაურობიდან დაბრუნებული სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებული იუწყება, რომ სასურსათო გადასახადის აკრეფა ზემო და ქვემო აჭარაში და ქობულეთის მაზრაში მთავრდება. ბათუმის მაზრაში სასურსათო გადასახადის შეკრება შედარებით სუსტათ მიმდინარეობს. აღმასკომები აგვიანებენ საჭირო მასალების გადმოგზავნას. მთელი სასურსათო გადასახადი მოხმარდება ღარიბეს გლეხობას.

სომხეთი

საჰაერო ფლოტის შექმნისათვის.

ერევანი. 12 აპრილი. ჰაეროპლანის „ხორჰურდაინ ჰაიასტანის“ მოწყობისათვის ხელის მოწერის პირველ დღეს მიღებულია 77 მილიონ მანეთზე მეტი.

იოანეს თუმანიანის გარდაცვალების გამო.

ერევანი. 12 აპრილი. თავის უკანასკნელ სხდომაზე სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა. იოანეს თუმანიანის ცხედარი დასაფლავებულ იქნეს ერევანში სომხეთის მთავრობის ხარჯზე. უზრუნველყოფილი იქნენ მისი ქვრივი და მცირე-წლოვანი ბავშვები, დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს, რათა უკანასკნელმა უკვდავ ჰყოს პოეტის ხსოვნა

რესპუბლიკის სასამართლო.

ერევანი. 12 აპრილი. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს 1000 მანეთი ოქროთი რესპუბლიკის სასამართლოს შენობის მოსაწყობად.

მიწად მოქმედება.

ერევანი. 13 აპრილი. მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატმა დაადგინა გაგზავნოს სპეციალური პირები ეჩმიაძინის, კარაკლისის, ალექსანდროპოლის და ლორის მაზრებში, რომლებმაც უნდა დაამთავრონ მიწად-მოწყობის სამუშაო და წარმოადგინონ შემდეგი მუშაობის პროგრამა საბოლოო რედაქციისათვის.

საკრედიტო ამხანაგობანი.

ერევანი. 12 აპრილი ჯელალ-ოღლიში და დილიჟანში დაარსებულია საკრედიტო ამხანაგობანი.

ამ გვარი ამხანაგობის მოწყობა კეშიშკენდში დამთავრდება ახლო მომავალში.

ანტისარწმუნოებრივი კამპანია.

ერევანი 12 აპრილი. ამ უკანასკნელ დღეებში გაიმართა პასუხის მგებელ მუშაკების ლექციები ანტისარწმუნოებრივ თემებზე.

აღმშენებლობა.

ალექსანდროპოლი. 12 აპრილი. ალექსანდროპოლის მაზრაში მარტის განმავლობაში გაყვანილია ახალი გზები 45 ვერსის მანძილზე, შეკეთებულია ხიდები, გაწმენდილია არხები, მოშენებულია ხიდები და სხვ.

საბჭოთა დაწესებულებანი.

ერევანი. 11 აპრილი. სომხეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა შექმნას კომისია საბჭოთა დაწესებულებების მდგომარეობის გამოსარკვევათ. კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. პარზიანი.

კომუნალურ მეურნეობის სამმართველოში.

ერევანი. 11 აპრილი. ერევანის კომუნალურ მეურნეობის სამმართველომ მიიღო მარტის თვის განმავლობაში ჩამორთმეულ დარაბებიდგან 7.880 მან. ოქროთი.

კომუნალურ მეურნეობის სამმართველოს საგადასახადო განყოფილებამ მიიღო 1705 მილ. მან. გადასახადების სახით სავაჭრო-სამრეწველო წარმოებებისაგან და ტრანსპორტისაგან.

მუშათა ცხოვრება

ამხ. მუშა-კორესპონდენტებს

არ დაგავიწყდეთ, ამხანაგებო, რომ 15 აპრილს, კვირას დილის 9 ნახევარ საათზე გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციის შენობაში (კრუზენშტეინის ქ. № 4 მე-3 სართული) დანიშნული გვაქვს ჩვენი თანამშრომელი მუშა-კორესპონდენტების— **მორიგი კრება.**

კრებაზე დასწრება ამხ. მუშა-კორესპონდენტებისთვის სავალდებულოა; სასურველი, თანამგრძნობ მუშების დასწრებაც.

ქალაქის ცენტრალური ამბულატორია

ეს დაწესებულება მოთავსებულია ვანქის ქუჩაზე ყოფილ ალექსანდრეს სახელობის ბაღის ახლოს. აქ შეუძლია ისარგებლოს უფასო საექიმო დახმარებით მხოლოდ მუშა მოსამსახურეს და პროფკავშირის უმუშევარ წევრს.

ამბულატორიაში არის თითქმის ყველა სნეულებათა საექიმო კაბინეტები, რომელნიც შეუწყვეტლად მუშაობენ. სამწუხაროდ, ამ დაწესებულებას თან ახლავს დიდი ნაკლიც, რომელიც სულ ადვილად გამოსასწორებელია. თუ კი ამას მიექცევა სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

შენობაში დილის 8 ნახევარ სათიდან—საღამოს 7 საათამდე ირევა აუარებელი ხალხი, ეს განსაკუთრებით საგრძნობია საერთო დარბაზში, სადაც მოთავსებულია „ნომრების ჩასაწერი“ მაგიდა. ჰაერი აქ სრულიად აუტანელია, ჩასაწერ რიგში დგანან მთელი საათობით; ექიმთან შესასვლელი ნომრების აღების შემდეგ ავადმყოფებს უხდებათ კაბინეტების წინ კიდევ საათობით დგომა. მართალია, აქ სკამებიც სდგას, მაგრამ მათზე გარდა სუსტი ავადმყოფებისა ვერავინ გაბედავს დაჯდომას. ვინაიდან ამ სკამებზე მუდამ შეამჩნევთ საშიშს, პატარა პარაზიტებს და მათი შეხოხება ხომ ახალ ახალი ავადმყოფობის შეძენას მოასწავებს. თვით შენობაში ასასვლელი კიბე ძალიან ბნელია, რისთვისაც დღისით კიბეზე ამავალი ავადმყოფი შეიძლება ცხვირპირში დაეცხოს კიბეზე ჩამომავალ მეორე ავადმყოფს. საჭიროა დღისით, როცა ელექტრონის სადგური არ მუშაობს, კიბეს ზემოდ იყოს ანთებული ლამპა. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფი თითქმის საათობით სდგას სულ სხვა საექიმო კაბინეტის კარებთან, ვინაიდან არ იცის, თუ რომელ ოთახში იმყოფება ის ექიმი, რომელსაც მან უნდა მიმართოს, ამიტომ აუცილებლივ საჭიროა, თუ ყველა საექიმო კაბინეტზე არა, თვალსაჩინო ალაგს მაინც გაკრულ იქნას ერთი განცხადება ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე იმის შესახებ, თუ რომელ ოთახში რომელი ექიმია, და მასთან ყველა კაბინეტებზე გაკეთებულ იქნას თავთავისი ნომრები. სასურველია და დიდათ საჭირო ისიც, რომ საერთო დარბაზში გაკრულ იქნას პროლეტარული, ბელადების სურათები. საჭიროა აგრეთვე შენობაში დაცულ იქნას მეტი სისუფთავე.

ო. შ.

პირველ რაიონის შრომის ინსპექტორის გადარჩევა.

ამ დღეებში შესდგა პირველ საინსპექტორო რაიონის ფაბკომების და ადგილკომების კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრენ—პროფკავშირების საბჭოდან ამხ. ელბაქიანი, მესამე რაიკომიდან ამხ. ვარტაპეტიანი, შრომის სახალ. კომისარიატიდან ამხ: გოდაბრელიძე, 61 წარმომადგენელი ფაბ-ქარხკომების და ადგილკომებისა და 50 მუშა.

კონფერენციაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ვარტაპეტიანი, მდივნობდა—ამხ. მანუილიანი.

პირველ რაიონის შრომის ინსპექტორის ბუგდანოვის საანგარიშო მოხსენება მისი მუშაობის შესახებ 1 აპრილიდან—22 წ. 20 მარტამდე 23 წ.

შრომის ინსპექტორის გადარჩევა.

თავის მოხსენებაში ამხ. ბუდანოვი პირველ ყოვლისა შეეხო იმ მთავარ ამოცანებს და გეგმას, რომელიც მან დაისახა მისი არჩევის პირველ დღიდანვე. ეს უკანასკნელები გამოიხატებოდა ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და წარმოებათა და კერძო პირების სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციათა დათვალიერებაში, იქ არსებულ შრომის პირობების და სხვა დეფექტების გამოსარკვევად და სათანადო ზომების მისაღებად მათი სალიკვიდაციოდ.

ერთი წლის განმავლობაში მან ინახულა ერთხელ—224 დაწესებულება, ორჯერ—291 დაწესებულება; რამაც აღმოაჩინა 2,500 კონფლიქტები მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრაციის შორის. აღნიშნული კონფლიქტებიდან—90 პროცენტი მის მიერ მოგვარებულ იქნა ადგილობრივ, დანარჩენი 10 პროცენტი კონფლიქტებისა გადაეცა სახალხო სასამართლოს მსჯავრის დასადებად. ერთი წლის განმავლობაში ამხ. ბუგდანოვის მიერ შეყენებულია 338 ოქმი შრომის კანონების დამრღვევლებზე.

შრომის გაუსწორებელი ექსპლოატატორები მის მიერ გასამართლებული და პასუხისგებაში მიცემული იყვნენ, რომელნიც დაჯარიმებულ იქნენ სახალხო სასამართლოს მიერ 1 მილიარდ ექვსას მილიონ მანეთით, მათვე გადახდათ მცირე წლოვანთა სასარგებლოდ ერთი მილიარდი შვიდასი მილიონი მანეთი და სხვა. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში კონფერენცია სცნობს შრომის ინსპექტორი ამხ. ბუგდანოვის მუშაობას სრულიად დამაკმაყოფილებლად და გადადის ახალ ინსპექტორის არჩევის საკითხზე.

ცოტა კამათის შემდეგ შრომის ინსპექტორად არჩეულ იქნა ისევ ამხ. ბუგდანოვი, რომელსაც დაევალა პერიოდულად მოიწვიოს ფაბ-ქარხკომების და ადგილკომების კონფერენცია, სადაც მან უნდა გააკეთოს საანგარიშო მოხსენებები თავის მუშაობის შესახებ და სხვა.

მუშა გ. მ—შვილი.

რაიადგილკომის გადარჩევა

ამ დღეებში შესდგა სახალხო კვების კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც გაირჩა—რაიადგილკომის, შრომის კომისიის, კულტ. და სარევიზიო კომისიების გადარჩევის საკითხები. აზრთა შეხლა-შემოხლის შემდეგ კრების მიერ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

რაიადგილკომში: ამხ. რეფუა, მონავა და ბელუსოვა;

შრომის კომისიაში: სიგუა და ბერიძე;

კულტკომისიაში: ზახაროვა და ბერიაშვილი;

სარევიზიო კომისიაში: სვანიძე, თეთხარია და ბერიძე.

მუშათა ქრონიკა

შრომის ინსპექციას ექსპლოატატორები მიერ დაუჯარიმებიან.

შრომის ინსპექტორი სუხორუკოვის მიერ შრომის კანონების დარღვევისათვის შეყენებული აქვთ ოქმი შემდეგ მოქალაქეთ:

— 1) **ქრისტეფორე ივანიშვილს** საყასბო დუქნის პატრონს, რომელიც ყოველდღიურად 11 საათის განმავლობაში ამუშავებდა 17 წლის ყმაწვილს, ივანე გორგიშვილს, სასყიდლის მიუცემლად 11 საათსვე ამუშავებდა დაქირავებულს მეყასბეს გიორგი ვართანოვს და აძლევდა მას ქირად 200.000 მან. დღიურად. არც ერთი მათგანი დაზღვეული არ იყო და მათ არც საანგარიშო წიგნაკი მიეპოვებოდათ.

— 2) **მიხეილ მეგრაშვილს**, საყასბო დუქნის პატრონს, რომელიც ამუშავებდა 9 საათს 15 წლის მოზარდს გიორგი ცეცხლაშვილს სასყიდლის მიუცემლად, ყმაწვილი დაზღვეული არ იყო და ამას არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონდა.

— 3) **ხარქის აბოვიანცს**, საყასბოს პატრონს,—რომელთანაც მუშაობდა დილის 7 საათ. საღამოს 7 საათამდე ყოველდღიურად 18 წლის ახალგაზდა არტემ გურაზოვი. ეს უკანასკნელი სასყიდელს არ ღებულობდა აბოვიანცისგან. მას არ ჰქონდა ერთი დასასვენებელი დღე კვირაში, და არც დაზღვეული იყო.

— 4) **ივანე მხიტარიანს**, სადებე დუქნის პატრონს, რომელიც ამუშავებდა 16 წლის ბავშს ზაქარია ხოჯაევს 11—12 საათის განმავლობაში ყოველდღე, ხელფასს კი 1 მილ. მან. აძლევდა თვიურად. ამხ. ხოჯაევს არ აღმოაჩნდა საანგარიშო წიგნაკი და ის არც დაზღვეული იყო.

ზემო აღნიშნული გაუსწორებელი ვაჭრები ექსპლოატატორები პასუხისგებაში არიან მიცემულნი შრომის კანონების დარღვევისათვის. მათი გამამტყუნებელი ქაღალდები გადაგზავნილია სახალხო სასამართლოში. სადაც ისინი (ვაჭრები) მიიღებენ ღირსეულ ჯილდოს.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომ. პარტ. ტფილისის ორგანიზაციის
ყველა წევრებს და კანდიდატებს
საქართველოს კომ. პარ. ტფილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს პარტდისციპლინის წესით გამოცხადდენ სათანადო რაიკომებში სააღრიცხვო ბარათების შესავსებათ (ფორმა № 2—შევსებული).

ეს რეგისტრაცია სავალდებულოა ყველასათვის გამოუკლებლივ, მიუხედავათ წინანდელისა და საჭიროა ტფილისის ორგანიზაციის საბოლოო აღრიცხვისა და სტატისტიკისათვის.

ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს სამი დღის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა, ყველა ისინი მოიხსნებიან ტფილისის ორგანიზაციის აღრიცხვიდან და საქმე მათი გადაეცემა ც. კომიტეტს პასუხისგებაში მისაცემათ პარტიულ ვალდებულებათა არ შესრულებისათვის.

ტფილისის კომ. მდივნის მაგიერ **იგანოვი.**

სააღრიცხვო-სტატისტიკური განყოფილების გამგის მაგიერ **ფულფოვიჩი.**

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი** წინადადებას აძლევს ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომელნიც არ გამოცხადდენ იარაღით აღრიცხვაზე, გამოცხადდენ განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების შტაბში „კარლ მარქსის მოედანზე“ (ყოფილი ვორონცოვის (სასტ. „ვენეცია“) აღსარიცხავათ და თან იქონიონ იარაღი 14—18 აპრილამდე საღამოს 6—8 საათამდე.

ვინც არ გამოცხადდება პასუხისგებაში იქნება მიცემული.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ—**ზაცკევიჩი.**

განსაკ. დანიშ. ნაწილების მე-2 გუნდის კომანდირი—**კირილოვი.**

პირველი მაისისათვის.

ცირკულიარული № 227.

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება პირველი მაისის დღე, პროლეტარულ ძალების დათვალიერების, მუშათა საერთო დღესასწაულის დღე.

ამ დღეს მთელი მსოფლიოს მუშები ანგარიშობენ თავიანთ ძალებს, ასწორებენ თავის რიგებს მომავალი ბრძოლებისა და გამარჯვებებისათვის. ევროპის მუშები, რომელნიც დაბეჩავებულნი არიან კაპიტალისტების მიერ დღესასწაულებენ ამ დღეს იმ სერიოზული ზეიმით და გამბედაობით იბრძოლონ ბოლომდე, სრულ გამარჯვებამდე, რომელსაც უკარნახებს მათ მათი შეგნებულობა, მათ მოელით კიდევ უფრო მკაცრი ბრძოლა.

მზადა ვართ რა დახმარება გაუწიოთ მათ საჭირო მომენტში, თანაუგრძნობთ რა მათ, როგორც თანამებრძოლთ, რომელთა გამარჯვებას ჩვენთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სოციალისტური შენებლობის დასამყარებლად და განსამტკიცებლად, ჩვენ მაინც შეგვიძლია ამ დიდ დღეს ვიდღესასწაულოთ უფრო მხიარულად. ჩვენთვის ეს დღესასწაული არის არა მარტო ბრძოლის, არამედ მონაპოვართა და გამარჯვებათა დღესასწაული. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას იძლევა არ დაარღვიოთ ამ მსოფლიო პროლეტარულ დღესასწაულის სიმხიარულე და პოლიტიკური მნიშვნელობა და მისცეთ მას უფრო ზედმეტი საზეიმო ხასიათი. ნუ დაკმაყოფილდებით ფორმალური მხარით, დემონსტრაციით, მიტინგით და შეუერთეთ მას ამხანაგური თბილი გრძნობა.

ამ დღის განსახორციელებლად და მისთვის არა მარტო პოლიტიკური, არამედ გაზაფხულის დღესასწაულის ხასიათის მისაცემად, საგიტ.-საპროპ. განყოფილება იძლევა შემდეგ გეგმას:

დილის 9 საათზე, ყველა მუშები ოჯახებით და სათანადო სამხედრო ნაწილები იკრიბებიან თავიანთ რაიონებთან და მუსიკით და დროშებით მიემართებიან საერთო დღესასწაულის ადგილისაკენ.

შეკრების ცენტრალური ადგილია ხუდადოვის ტყე.

იქ წინასწარ შემუშავებულ გეგმით გაიმართება სხვადასხვა ადგილებში მიტინგები. მასიური წარმოდგენები, სასპორტო შეჯიბრებანი, მომღერალი გუნდები, მუსიკა, კინემატოგრაფები და სხვ.

დღესასწაულის და გასართობების პროგრამა ნავარაუდევია მთელი დღისათვის.

საღამოს დაინთება მაშხალები და პროცესია ჩირაღდნებით, სიმღერით და მუსიკით დაბრუნდება უკან.

დღესასწაულის ვრცელი გეგმა და მარშრუტი დამატებით იქნება გამოქვეყნებული.

თუ ვინიცობაა ცუდი ამინდი იქნება, რაიონებში გაიმართება მიტინგები პირველი მაისის მნიშვნელობის შესახებ და საღამოს კი კლუბებში. საერთო დღესასწაული გადაიდება მახლობელ კვირისათვის.

საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტ-საპროპაგ. განყოფ. გამგე **მ. ცხაკაია.**

მკითხველის წერილები

გადასახადთა ორგანოები მაზრებში.

დღეს საბჭოთა ფედერაციაში და კერძოთ საქართველოში გადასახადების შემოღებას პრინციპიალური მოწინააღმდეგე არ ჰყავს თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმათ, რომლებიც მეტათ არიან [illegible] ნაშიერი, საბჭოთა მთავრობის მიერ გადაყენებული, უარყოფილი და გაძევებულ ხალხის თვალში.

ამ პატარა წერილის საგანს არ შეადგენს არსებითად გადასახადთა საკითხის გარჩევა, არამედ ჩვენ გვინდა შეგეხოთ საქმის ტექნიკურ მხარეებს—გადასახადების აკრეფას და ამისათვის საჭირო აპარატის მოწყობას.

საერთოდ გლეხკაცობის სულიერი განწყობილება არ არის გადასახადების წინააღმდეგ. ამ მხრივ ჩვენებურ სოფლელთა მოქალაქობრივი და სახელმწიფოებრივი შეგნება მაღლა სდგას.

მხოლოდ გლეხობაში გაუგებრობას და დავას იწვევს ამა თუ იმ გადასახადის არა-სამართლიანად გაწერა, ე. ი. გადასახადთა რაოდენობის გაწერა არა შეძლებისდა კვალობაზე. ასეთი შემთხვევები ბევრია სოფლად. ამას მაგალითები არა სჭირია. და ამისათვის მთელი ყურადღება, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე მისი ადგილობრივი ორგანოების უნდა იყოს მიპყრობილი ისეთი საგადასახადო ორგანოების მოწყობაზე მაზრებში, რომლებიც არ დაუშვებენ ერთ ასეთ შემთხვევასაც კი.

დღემდის, კი, უნდა ვაღიაროთ, ამ მხრივ ცოტა რამ გაკეთებულა. გადასახადები კი არის გადასახდელი—უამისობა შეუძლებელია: შრომის ბეგრის, სამოქალაქო, სასურსათო, სასკოლო და ყოველივე ამას ზოგიერთ მაზრებში კიდევ ემატება ადგილობრივი გადასახადებიც. ყველა ამათი გაწერა და აკრეფა დაკისრებული აქვთ ადგილობრივი თემის აღმასკომებს, რომლებიც, სიმართლე უნდა ითქვას, ამ საქმისათვის ზოგჯერ არ არიან მომზადებულნი.

თუ მივიღებთ მხედველობაში თანამედროვე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, საგადასახადო კითხვა ერთი სერიოზული კითხვათაგანია საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მას სჭირია ისეთი ფრთხილი და გამოცდილი ხელი, რომელიც გონივრულად მიუდგება საქმეს და გადასახადთა სიაში შეიტანს მხოლოდ ისეთებს, რომლებიც მართლაც ღირსნი არიან ასეთების.

თემის აღმასკომებს კი, ყოველდღიურად იმდენი სხვადასხვა საქმე აწევია თავზე, რომ არ ძალუძთ ფიზიკურად გადასახადების სამართლიანად გაწერა და მოუვათ თუ არა სამაზრო საგადასახადო ინსპექტორისაგან მოწერილობა: ამ და ამის საგადასახადოთ თქვენი თემიდან უნდა წარმოადგინოთ ამდენი და ამდენიო, თემის თავმჯდომარეც აიღებს კანცელარიიდან მცხოვრებთა სიას და თითოეულ მათგანს შაბლონიურად გააწერს.

ყოველივე ეს შემდეგში იწვევს დიდ დავას და აყალ-მაყალს.

ამიტომ, რომ რიგიანად იქნეს სხვადასხვა გადასახადები მცხოვრებთა შორის გაწერილ-აკრეფილი, საჭიროა თითოეულ თემში იყოს საგადასახადო საქმეთა აგენტი, რომლის მოვალეობას უნდა შეადგენდეს შეისწავლოს ადგილობრივი მცხოვრებთა მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ გააწეროს გადასახადები ღირსეულებს.

იგივე აგენტები უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი გადასახადების აკრეფაში და ფულების ხაზინისადმი ჩაბარებაში.

დღეს კი რას ვხედავთ. ხან თემის აღმასკომის წევრები აგროვებენ, ხანაც მილიციის უფროსები ანუ მილიციონერები, რომელთაგან გადამხდელი ვერ ღებულობს ვერავითარ კვიტანციას და ხშირად აქვს ადგილი ბოროტმოქმედებასაც. დამნაშავენი კი რჩებიან დაუსჯელნი, ვინაიდან მილიციის უფროსები და მილიციონერები ყოველ თვეში იცვლებიან.

მილიცია და აღმასკომი უნდა ასრულებდენ მხოლოდ დამხმარის როლს. მაგალითად, უნდა აიძულონ ის პირნი, რომლებზედაც გაწერილია გადასახადი, ჩააბარონ სათანადო კვიტანციის ქვეშ აგენტს ფულები და სხ.

მთავრობას არ უნდა დაეზაროს აგენტების უზრუნველყოფა მატერიალურად, ვინაიდან იქ, სადაც მაზრამ უნდა გადაიხადოს 15—20 მილიარდი, ნახევარი მილიარდის დახარჯვა საქმეს არას დააკლებს მით უმეტეს მაშინ, როცა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი გადასახადების სამართლიანად აკრეფა და მოწინააღმდეგეთა საპროვოკაციო საბაბის მოსპობაც. აგრეთვე მთავრობას ექნება გარანტია, რომ უკლებლივ ჩაიბარებს გაწერილ გადასახადის რაოდენობას.

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების თითო თემს დასჭირდება თითო აგენტი, ხოლო დასავლეთში მოსახერხებელია ერთ აგენტს მიენდოს ორი სამი თემიც. ამნაირად, დროა საგადასახადო ორგანიზაცია მოეწყოს ჩვენს გლეხკაცობაში სასურველად.

ი. კუხალაშვილი.

ქ. დუშეთი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(13 აპრილი)

ოქროს 10 მანეთიანი —	8,600
გირვანქა სტერლინგი —	4250.
დოლარი — — — —	980.
ლირა — — — —	800.
საბჭოთა ფულის ნიშნები	15,5.

ძვირფასი ლითონების ფასები.

(13 აპრილი)

ნატეხი ოქრო 96 საშ. მისხალი—3 მ. 40 კაპ., ნატეხი ოქრო 56 საშ. 1 მ. 70 კაპ. ბანკის მანეთი (ვერცხლის)—40 კაპ., ხურდა ვერცხლის მანეთი—16,5 კაპ.

მთლიანი მუშათა კოოპერატივის ფასები.

(13 აპრილი)

თეთრი პური—20. შავი—10. საპონი—110. საპონი „ტოლლე“—100. ყუბანის ფქვილი—35. ლობიო—12—15. ასანთი—10—15. ფხვნილი შაქარი—135.

საქონლის ბაზრის ფასები

(ბითუმად)

ყუბანის ხორბალი—520. ადგილობრივი—420. ქერი—280. სიმინდი—230. ბრინჯი—1,800—2,000, ფქვილი „კრუპჩატკა“—1,350. ყუბანის 1 ხარ.—1,250. ადგილობრივი ფქვილი—570—600. შაქარი რაფინადი ყუთი—34 მან. საზა—4 მ. 80 კაპ. კარაქი 1-ლი ხარ.—15,500. თუშური ყველი—900 ნარმა რუსული, არშინი—230—250. ჩითი—24—270.

განწყობილება ვალიუტის ბაზარზე

(13 აპრილი)

ვალიუტის ბაზარზე, გუშინ საღამოს შემდეგ დაიწყო ვალიუტის კურსის დაწევა. დღემდე დაწევა საგრძნობია დაახლოებით 15 პროცენტით.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება

ფხვნილი შაქარი. ფანჯრის მინები. ლედები. სოდა. ნარმა—16 ვერშოკიანი. შაქარი რაფინადი. მადეპალამი. შიფონი. ცემენტი. შაბიაბანი. სკიპიდარი. ნაწლევები. რკინის ლაფათქები. შვეიცარიული ყველი. სარდინები. ცხვრის ქონი. კრუპა. ყუბანის ფქვილი. ფხვნილი შაქარი. მატყლი. ბამბა. რკინა. რეზინის ნაწარმოები. იტალიური გოგირდი.

ბირჟის მოთხოვნილება.

საშენი მასალები. პირველი ხარისხის ფქვილი. გოგირდი. შაბიაბანი. ყუბანის ხორბალი. თეთრი ქერი. ფხვნილი შაქარი. შაქარი რაფინადი. სოდა. ცხვრის ქონი. რუსული ასანთი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(13 აპრილი)

საერთო განწყობილება წინანდელ დღეებთან შედარებით მოდუნებულია. შაქრის ბაზარზე გამყიდველების განწყობილება მტკიცეა, დანარჩენ ბაზრებზე ცვლილება არ მომხდარა.

სპარსეთთან ვაჭრობის შესახებ.

როგორც ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილება გვატყობინებს, სინდიკატების კავშირმა შეიტანა რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში განცხადება, რომლითაც მოითხოვს მიეცეს საფეიქრო სინდიკატს სპარსეთში მანუფაქტურით ვაჭრობაში მონოპოლიური უფლება.

საბჭოთა რესპუბლიკები ლიონის გამოფენაზე

რუსული პავილიონი... იგი იპყრობს უდიდეს ყურადღებას. დიდი პავილიონია ყველაზე, მისი განყოფილებები მართალია შინამრეწველობას მრავალფეროვან ნაწარმოებით, ჩვენ ყველამ ვიცით ეს ხისაგან გაკეთებული დიდაკაცები, კოხები, ჰურჩლები, მაგრამ ფრანგებისათვის იგი უცხოა და ბავშვები ესევიან ამ სანახაობას ბრწყინვალე თვალებით.

მაგრამ ეს მრავალფეროვანება მხოლოდ დეკორატიული მორთულობაა ციმბირის ქვებით მორთულ დიდ ლანგარების, გრძელ ულვაშება ხახოლის ქვეშ, რომელიც ამშვენებს უკრაინის განყოფილებას, დალაგებულია მრავალი დაუნახავი, მაგრამ ძვირფასი ექსპონატები: ნედლი მასალა, კავკასიის ტყის მასალა, აბრეშუმი, შავი ქვა, სელი, პური, პურის გამო ბურცევის ეროვნული კომიტეტი არ დაერიდა გაეგზავნა ყველასათვის მორიგი პროტესტი: რუსის ხალხი შიმშილით იხოცება და ვერაგ ბოლშევიკებს კი საზღვარ-გარეთ გააქვთ პური. მართლაც პური გააქვთ იმ ადგილებიდან, რომელიც იმდენად დაშორებულია მოუსავლიან ადგილებისაგან, რომ პურის გატანა, ტრანსპორტის ეხლანდელ მდგომარეობის დროს, ძალიან ძვირად დაჯდებოდა, მაშინ, როდესაც ექსპორტი ზღვით უფრო იაფი და ადვილიც არის. გამოფენილია აგრეთვე ფრანგების საცდუნებლად ბაქოს და გროზნოს ნავთი. ჩრდილოეთ რუსეთმა მოაწყო ქიმიურ პროდუქტების მდიდარი განყოფილება. ცალკე შენობაში, გამოფენის ბეწვეულობის განყოფილებაში, ფრანგულ ბეწვეულთა შორის გამოსჩანს „საბჭოთა რესპუბლიკების ბეწვეულები“ დათვის დიდი ტყავის ქვეშ. აქ განუწყვეტლივ თავს იყრიან ქალები. ბეწვეულების არჩევანი დიდია და რუსულ განყოფილებათა შორის პირველი ადგილი თანასწორთა შორის, ასე ვსთქვათ, ბეწვეულის განყოფილებას უჭირავს. ყველა ექსპონატები შეადგენენ გაცხოველებულ სავაჭრო მოლაპარაკების საგანს. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა და ცენტროკავშირმა მოაწყვეს საქონლის საწყობები რიგაში, რეველში, ნოვოროსიისკსა, სტამბოლსა, ჰამბურგსა და ლონდონში. საფრანგეთს ესაჭიროება ნედლი მასალა, რომელ საქონელზედაც არ ჰკითხავთ ფრანგულ განყოფილებებს თითქმის ყოველთვის მიიღებ პასუხს, რომ ეს საქონელი იზიდება საფრანგეთში, მაგრამ მასალა საზღვარ-გარეთიდან მოდისო და ამავე დროს რუსეთთან ოფიციალურ ურთიერთობის უქონლობის გამო, უხდებათ რუსეთის ნედლი მასალის შეძენა ინგლის-ამერიკისაგან და ზედმეტი ფასის გადახდა. ეს ძალიან დიდ ვნებას აძლევს საფრანგეთის მრეწველობას. რუსული განყოფილების კედლებზე გამოკიდებული ცხრილები თვალსაჩინოთ ამტკიცებენ, თუ რამდენად ჩამორჩა საფრანგეთი რუსეთთან ვაჭრობაში სხვა ქვეყნებთან შედარებით. იმიტომ რომ პარიზში მყოფი რუსეთის სავაჭრო მისია მ. ი. სკობელევის მეთაურობით დღითი-დღე აფართოებს თავის მოღვაწეობას.

და რუსეთის განყოფილებამ ლიონის ბაზრობაზე ფრანგების და რუსების წინაშე ითამაშა სანიმუშო როლი, დღემდის ხომ ბევრს სჯეროდა ფრანგული და ემიგრანტების პრესის ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთი განადგურებულია. და უეცრად ამდენი ნატურალური სიმდიდრე, ასეთი ორგანიზაცია, საქონლის რეალური საწყობები—და თვითეული ხისაგან გაკეთებული დიდაკაცი შეღებილი პირის ღიმილით მოუთხრობს მთელ საფრანგეთს იმავე, რასაც ტრიესტის გამოფენაზე:—რუსეთი ცოცხალია.

ბაქოს ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ერთ-ერთ სხდომაზე განხილული იყო საკითხი ბაქოს ბაზრობაზე საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვის წესის შესახებ. კოლეგიამ დაადგინა: ყველა სამეურნეო ორგანოებს და აგრეთვე კერძო პირებს, რომელნიც მონაწილეობას ღებულობენ ბაქოს ბაზრობაზე, მიეცეს უფლება გაიტანონ ბაქოს ბაზრობიდან სპარსეთში ბაზრობის ყოველგვარი საქონელი; განსაზღვრულად, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, ისე უცხოეთის ნაწარმოები, გარდა სამონოპოლიო (შაქარი და ნავთი) და გასაზიდათ აკრძალული საქონლის სპარსეთისათვის. სამონოპოლიო საქონლის გატანა ბაზრობის დროს შეიძლება მხოლოდ სპეციალური ნებართვით, რომელიც ეძლევა მყიდველებს ბაზრობაზე სამონოპოლიო საქონლის შესყიდვის შემთხვევის დროს. შემოზიდვის საკითხის შესახებ კოლეგიამ დაადგინა დაშვებული იქნეს სრული თავისუფლება სპარსეთიდან ყოველგვარი პროდუქტების შემოზიდვისათვის, ხოლო აკრძალული იქნეს სპარსეთიდან ევროპის საქონლის შემოტანა.

ამ ჟამად აღძრულია შუამდგომლობა რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ბაზრობის დროს გავრცელებული იქნეს აზიური ტარიფი.

მეაბრეშუმეობა

მიმდინარე 1923 წელს განზრახულია 150.000 კოლოფი აბრეშუმის თესლის დარიგება მთელ ამიერ-კავკასიაში, რაც იძლევა დაახლოვებით 150.000 ფუთ ნედლ პარკს ანუ 50.000 ფ. გამხმარ პარკს—რაც უდრის 5 მილიონ მანეთს საზღვარ-გარეთის ფასების მიხედვით.

უკანასკნელ დრომდე საქართველოში აბრეშუმის დამზადებას მონოპოლიის საფუძვლებზე აწარმოებდა საქ. სასურსათო სახ. კომისარიატს, ხოლო აზერბეიჯანში დამზადებას მთავარ ყურადღებას აქცევდა „ადერბეიჯანის აბრეშუმი“. მიმდინარე წელს აბრეშუმის დამზადება მოითხოვს დიდ საბრუნავ საშუალებას არა ნაკლებ 1 მილ. მან. ოქროთი.

50.000 ფ. პარკის დამზადების დროს, რაც უდრის დაახლოვებით 5 ნახ. მილ. მანეთს, 80.000 ფუთი პარკი შეიძლება განაღდებული იქნას პარკის სახით და 30.000 ფუთი ამოხვეული იქნას ადგილობრივ. ამ ოპერაციებმ შეუძლია მოგვცეს შემდეგი თანხა: 30.000 ფ. პარკი—3 მილიონ მანეთს ოქროთი (თუ 1 ფუთის ფასი იქნება 100 მანათი) და 4.400 ფ. ძაფსა და 1900 ფუთ ფრიზონში (რომელიც მიიღება 20.000 ფუთი პარკის ამოხვევის დროს)—1760.000 მან. ოქროთი, პარკში და 133.000 მან, ოქროთი ფრიზონში, და სულ კი დაახლოებით 5 მილიონი მან. ოქროთი. შორეულ საზოგადოებას, რომელიც არსდება აბრეშუმის დასამზადებლათ, უნდა ქონდეს საბრუნავი თანხა 2 მილ. მანეთი (კრედიტის უქონლობის დროს).

ქრონიკა

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **შტატების 80 პროცენტით შემცირება.** სატყეო საბჭომ დაადგინა რესპუბლიკის მასშტაბით სატყეო მმართველობის შტატები შემცირებულ იქნას 30 პროცენტი განსაკუთრებით შტატების შემცირება შეეხება ტყის მცველებს. შტატში დატოვებულ ტყის მცველებზე დაკისრებული იქნება დაბალ ტექნიკურ ფუნქციების ასრულება და ტყეების საერთო მეთვალყურეობა. ტყეების დაცვის მოვალეობა დაეკისრება ადგილობრივ მცხოვრებლებს და აღმასკომებს. მეტყევეებს და მათ თანაშემწეებს დაევალება სატყეო საქმეების საერთო ხელმძღვანელობა,—სატყეო მეურნეობის მოწესრიგება და ტყეების მეთვალყურეობა.

— **სატყეო ადმინისტრაციის თვისობრივი გაუმჯობესება.** სატყეო საბჭომ ადგილებზე მუშაობის ღირსეულ დონეზე დაყენების მიზნით დაადგინა: ცენტრში სატყეო განყოფილებასთან დატოვებულ იქნას მხოლოდ რამოდენიმე აუცილებლად საჭირო სპეციალისტი და დანარჩენი კი გაიგზავნოს სამუშავო პროვინციაში. ეს დადგენილება შეეხება აგრეთვე სატყეო განყოფილების მიწის მზომელებს, რომელნიც სატყეოები გაიგზავნებიან მეტყევების თანაშემწეებად.

— **სატყეო სტატისტიკა.** სატყეო საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში სტატისტიკის მნიშვნელობა სატყეო მეურნეობისათვის, დაადგინა ტყეების სტატისტიკური მასალების დამუშავების კონცენტრაცია მოხდეს ცენტრში, სატყეო განყოფილებასთან სპეციალისტ მეტყევ ხელმძღვანელობით.

ქალაქის აღმასკომში.

— **საგარეჯოს მეტეოროლოგიური სადგური.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს განათლების სახალხო კომისარიატს, რათა მიიღოს თავის ხარჯზე საგარეჯოს მეტეოროლოგიური სადგური.

— **მილიციის თანამშრომლებისათვის უფასოთ პურის დარიგება.** ამავე პრეზიდიუმმა დაადგინა ეძლიოს სამმართველოს განყოფილებას აღმასკომის საწყობიდან პურის ფქვილი, ან საკმაო თანხა ფულათ მილიციის თანამშრომლებისათვის დღეში ორი გირვანქა პურის უფასოთ დასარიგებლად.

— **სესხად გაცემულ ხორბლეულობის აკრება.** ტფილისის მაზრის აგრონომიულ ქვეგანყოფილების და დამთეს კომისიის ცნობით, მარტამდის აკრებილია: ხორბალი—5,000 ფ., ქერი—1,230 ფ. და სიმინდი—6,300 ფუთი.

განათლების კომისარიატში.

— **დანიშვნა.** განათლების სახ. კომისარიატის სარეპერტუარო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რაქდენ კალაძე დაინიშნა სახელოვნო კომიტეტის წევრათ პირველ თანამდებობაზე დატოვებით—12 აპრილიდან.

რკინის გზაზე.

— **შუამდგომლობა.** ამ.-კ. რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებამ რკინის გზის მმართველობას მიმართა შუამდგომლობით, რათა მიეცეს შეღავათიანი პირობები საბარგო მატარებლით სარგებლობის პროდუქტების გასატან-შემოსატანათ.

— **პურის ფქვილი რკინის გზის მუშებს.** მარტის განმავლობაში ა.-კ. რკინის გზის მუშათა მომხმარებელ საზოგადოებამ თავის წევრებს რიცხვით 21,653, დაურიგა 20,134 ფუთი პური და 350 ფ. ფქვილი.

სხვა და სხვა.

— **დაკარგული ბავშვი.** სახლიდან გაიპარა და ერთი თვე სრულდება რაც არა სჩანს 14 წლის ყმაწვილი ვლადიმერ (ვალოდია) კიკნაძე. მნახველს ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით—ქუთაისი. მარდალეიშვილის და ივანოვის მესამე შესახვევი, № 22, ალექსი კიკნაძეს.

ხელოვნება

— **სრ. საქართ. მწერალთა ყრილობა.** ხუთშაბათს 12 აპრილს, ტფილისში (ხელოვნების სასახლეში) გაიხსნა სრ. საქართ. მწერალთა ყრილობა. თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ნიკო შიუკაშვილი. ყრილობა გაგრძელდა სამ დღეს.

— **„მაკბეტ“.** დღეს. რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე შექსპირის „მაკბეტ“ თარგმნილი ივანე მაჩაბელის. მაკბეტის როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი, ლედი მაკბეტს ცაცა ამირეჯიბი. პიესას დადგამს მ. ქორელი.

— **ეგ. ნინოშვილის ნაწერები სომხურ ენაზე.** მხატვარი და ლიტერატორი ბაშინჯაგიანი თარგმნის სომხურ ენაზე ეგ. ნინოშვილის „მოსე მწერალს“.

— **ჟურნალი „1-ლი მაისის ამხოხება სომხეთში“.** ა.-კ. კომ. პარტ. ცენტ. კომ. სცემს ჟურნალს „1-ლი მაისის ამხოხება სომხეთში“. ჟურნალში მოთავსებული იქნება წერილები აღნიშნულ დღეზე, მოგონებები და სხვა.

— **რეჟისორ მჭედლიშვილის ჩამოსვლა.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა მოსკოვის სამხატვრო და მცირე თეატრის რეჟისორი ვ. მჭედლიშვილი, რომელიც დასდგამს რუსთაველის თეატრში რამდენიმე წარმოდგენას ქართულად.

— **ძუკუ ლოლუას იუბილე.** ფოთში ამ დღეებში გადახდილი იქნება სახალხო ლოტბარის ძუკუ ლოლუას 25 წლის სამუსიკო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად—იუბილე.

პროფკავშირებში

პროფესიონალური მუშაობა ახალციხეში.

მარტამდე ახალციხეში პროფ. მუშაობა ვერ იყო დაყენებული სათანადო დონეზე. მარტიდან იწყება პროფ. მუშაობის გაცხოველება. კულტ. მუშაობა ფაქტიურად დაიწყო მხოლოდ მარტში. ამ ხნის ხნის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით გახსნილ იქნა ორი სკოლა სომხურ ენაზე და ერთი—ქართულზე. სკოლაში მოსწავლე მუშებს უფასოდ დაურიგა რვეულები და ფანქრები. ეწყობა პოლიტწრეები. მიღებულია ზომები, რათა ყველა კავშირებმა სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებთან დასდონ კოლექტიური ხელშეკრულებები.

4 აპრილს ჩატარებულ იქნა უმუშევართა გაწმენდა.

თელავის პროფბიუროს მუშაობა.

თელავის სამაზრო პროფბიუროში ირიცხება 892 წევრი. პროფბიურო განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. ამ მიზნით გაიხსნა კურსები, სადაც იკითხება ლექციები. კულტმუშაობას ხელს უშლის საჭირო თანხების უქონლობა.

პროვინციაში

ახალციხე.

ახალციხის მაზრის მცხოვრებნი საერთოდ კულტურულად მეტად ჩამორჩენილი არიან. უამრავი სოფლებია ისეთი, სადაც არა თუ სკოლა არ არსებობს, არამედ სანთლით უნდა ეძიოთ წერა-კითხვის მცოდნე. კულტურულად შედარებით უფრო მაღალ დონეზე დგანან ქართველ ქრისტიანთა და სომეხ-გრიგორიანთა ზოგიერთი სოფლები. იქ სკოლებიც არსებობს, მცხოვრებნი ქალაქს ხშირად უკავშირდებიან, ბევრმა იცის ესა თუ ის ხელობა და ბევრიც ვაჭრობას ეწევა. ამ სოფლებში მცხოვრებნი თავისი ხარჯით ინახავენ სკოლას და იქ ყველანი თავიანთ ბავშვებს აგზავნიან სწავლის შესაძენად. კულტურული სიბნელე დაბუდებულია განსაკუთრებით მაჰმადიანთა სოფლებში. იქ მოლები არიან ჯერ კიდევ საგრძნობი ავტორიტეტით აღჭურვილნი. რაც შეეხება თვით ქალაქ ახალციხეს, ის ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს. იქ არსებობს რამდენიმე შრომის სკოლა, თეატრები, კინო თეატრი, კლუბები, სამკითხველოები და სხვა. პროფკავშირების წევრები შვიდასამდე აღწევს. ფიზიკური შრომის მუშები განსაკუთრებით ხელმოკლენი არიან.

ასეთ პირობებში სწარმოებდა ანტირელიგიური პროპაგანდა-აგიტაცია.

ყველაზედ უფრო საუკეთესო ნიადაგი ანტი-რელიგიური პროპაგანდისათვის იყო ქ. ახალციხე. პროფკავშირების წევრებს შორის, მოწაფეებში და მოქალაქეთა საერთო კრებებზე სისტემატიურათ იკითხებოდა ლექციები და საუბრები რელიგიის შესახებ. ამ უკანასკნელ კვირაში (სააღდგომოთ) ანტი-რელიგიური პროპაგანდა საგრძნობლად გაცხოველდა. 30 მარტს მოწვეულ იქმნენ პროფკავშირის ყველა წევრები და ადგილობრივი მოქალაქენი საერთო კრებაზე. რელიგიის შესახებ რამოდენიმე მოხსენების წაკითხვის შემდეგ გამოვიდნენ აუდიტორიიდან მუშები, მუშა-ქალი და მოქალაქენი, რომელნიც ერთხმად მოითხოვდნენ ეკლესიების დახურვას და მის ნაცვლად სკოლების, სამკითხველოების და თეატრების გახსნას. კრების დასასრულს საერთო კრებამ არაჩვეულებრივი ენთუსიაზმით აღფრთოვანებით მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია:

„ქ. ახალციხის პროფ-კავშირის ყველა წევრთა და მოქალაქეთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მან მოხსენებანი, აგრეთვე მუშებისა და მუშა ქალების აზრი, რელიგიის და ღვთისმსახურების შესახებ, აღნიშნავს, რომ რელიგია მოგონილია ღარიბი ხალხის გონების დასაჩლუნგებლათ; ის ნამდვილი ოპიუმია მშრომელი ხალხის გასაბრუებლათ, რომ ბურჟუაზიამ ადვილათ შესძლოს მუშათა კლასის ექსპლოატაცია. საბჭოთა რესპუბლიკებში მუშათა კლასმა გააცამტვერა „ცარიზმი“, ბურჟუაზიის ბატონობა და მათთან ყველა მათ აგენტებს შავი საქმეების მოქმედების საშუალება მოესპო. სამღვდელოება და რელიგიური სწავლა-მოსამსახურება ბურჟუაზიის იარაღი იყო მუშათა კლასის წინააღმდეგ და ამისათვის უნდა დაიხუროს ყველა ეკლესიები, საიდანაც ვრცელდება რელიგიური შხამი შეუგნებელ მშრომელთა მასებში და უნდა გამოცხადდეს სასტიკი ბრძოლა რელიგიას და სამღვდელოებას. ეკლესიების ნაცვლად უნდა გაიხსნას სკოლები, თეატრები და წიგნთსაცავ-სამკითხველოები.

გაუმარჯოს მუშათა კლასის ბრძოლას პროლეტარულ კულტურისათვის!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

კრების დასრულების შემდეგ ყველა დამსწრენი მწყობრათ, მუსიკით წავიდნენ და დაჰკეტეს ოთხი ეკლესია (სომეხ-გრიგორიანების, ქართველ-ქრისტიანთა, კათოლიკების და ებრაელების).

უკანასკნელ ხანებში ქართველთა და სომეხთა რამოდენიმე სოფლებიდან მოვიდა ყველა მცხოვრებლების მიერ ხელმოწერილი ოქმები, სადაც მოითხოვენ ნებართვას ეკლესიების დახურვისას.

ანტი-რელიგიურ კამპანიის წარმოებამ რეალური ნაყოფი გამოიღო. რელიგიის და სამღვდელოების მიმართ ისტორიულად დაგუბებული გულისწყრომა მშრომელი მასებისა შურის-ძიების ქარტეხილათ გარდაიქცა და ის ახლო მომავალში კიდეც წალეკავს მას საესებით.

ქ. ხუნდაძე.

გორი.

5 აპრილს, ხუთშაბათს საღამოს 4 საათზე ქალ. გორის სახალხო სახლში კომკავშირის ინიციატორობით მოწვეულ იქნა დიდი მიტინგი. მიტინგზე გაკეთდა მოხსენებები კომკავშირის წარმომადგენლების მიერ რელიგიის და ეკლესიების შესახებ მომხსენებლებს ხალხი ენტუზიაზმით ეგებებოდა სიტყვების შემდეგ მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ ეკლესიები წარმოადგენენ ისეთ დაწესებულებებს, სადაც იშხამება და იხშობება ხალხის გონება და ამისათვის საჭიროა მათ გამოცვალოს დანიშნულება და ისინი შეიქმნენ ცოდნის, მეცნიერების ტაძრად. ხალხმა აირჩია კომისია, რომელიც უნდა შესდგომოდა ეკლესიების გაუქმებას და „კომკავშირის აღდგომისათვის“ სათანადო მომზადებას. კომისია შეუდგა საქმიანობას და გამგზავრა ეკლესიებისაკენ წითელი დროშებით, ყველა ეკლესიები ჩამორთმეულ იქნა და აგრეთვე ჯვრების ნაცვლად ეკლესიების გუმბათზე აფრიალდა წითელი დროშები, ხალხი ამ მოვლენას დიდი აღტაცებით შეხვდა. გზებზედ მოხსნილ იქნა ხატები და ჯვრები. განზრახულია ეკლესიებში ყოველ კვირაში წაკითხულ იქნას ლექციები და ზოგიერთებში გაიხსნას სამკითხველოები.

ა. გ.

ქ. ცაგერი (ლეჩხუმის მაზრა).

1 აპრილს ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან გამოცხადდა რამოდენიმე გლეხი და ითხოვეს სახალხო მიტინგის მოწვევა. შეკითხვაზე თუ რისთვის და რა საჭიროებისათვის? გლეხებმა განაცხადეს, რომ სურთ სახალხო მიტინგზე ახსნა განმარტების მიღება სარწმუნოების შესახებ. გლეხების სურვილის თანახმად 2 აპრილს კიდეც იქმნა მოწვეული სახალხო კრება ქ. ცაგერში რომელსაც დაესწრო ორი ათასზე მეტი მოქალაქე ორივე სქესისა. აქვე მიტინგზე გამოვიდა ახალგაზრდათა კ. კ. სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ინდიკო სვანიძე, და სამაზრო პარტკომის წარმომადგენელი ამხ. გ. ქამუკაიანი, რომლებიც უხსნიან კრებას სამღვდელოების მატყუარობას და სარწმუნოების შინაარსს. მათ გამოსვლას აგიტაციური ხასიათი არ ჰქონია არამედ მათ განუმარტეს მრავალ რიცხ. მიტინგს ის, რის მოწმეც თვით ხალხი ყოფილა თვის ცხოვრებაში. ამის შემდეგ ლეჩხუმის მაზრის მშრომელთათვის ცნობილი ბლაღოჩინი ივანე მარღანიამ როდესაც შეეკითხა ხალხი თუ რა არის სარწმუნოება, უპასუხა: სარწმუნოება არის ფილოსოფიაო. რის შემდეგაც ხალხი ერთხმათ [illegible] და ეკლესიების გაუქმებას და საეკლესიო შენობების კულტურულ სახლებათ გადაკეთებას, ჯერჯერობით გაუქმებულია 18 ეკლესია დანარჩენი ეკლესიების გაუქმება მაზრის ფარგლებში ხალხზეა დამოკიდებული, როგორც პირველი 18 ეკლესიისა.

ს. ქაჯაია.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი:

1919 წლამდე მე ვირიცხებოდი სოც. ფედ. პარტიაში, ამ დროიდან—კი მე გამოვედი პარტიიდან და დავრჩი სრულიად უპარტიოდ. ამასთანავე ორი წლის განმავლობაში საქართველოს გასაბჭოებიდან მე დამარწმუნა, როგორც ნათელმა ფაქტებმა, აგრეთვე ლიტერატურამ, რომ კომუნისტური პარტია არის ერთად-ერთი, რომელსაც აქვს სწორი გეზი არჩეული სოციალიზმისაკენ.

დარწმუნებული ვარ, რა კომუნისტური პარტიის საქმიანობის სისწორეში, სამარცხვინოდ მიმაჩნია, ის პაწია ენერგია, რომელიც არის ჩემში არ შევწირო მსხვერპლად დიად საქმეს. მე სრულიად ვუერთდები უდიადეს იდეალის განმახორციელებელ კომუნისტურ პარტიას და მის რაზმებში ვიბრძოლებ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე.

ონტოფოს მთლიანი შრომის სკოლის მასწ. **ხერგია ნ. ხიაშა**

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: მე, ქვემორე ამის ხელის მომწერს, მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრს წინათაც გული მიმილტოდა ბოლშევიკური პარტიისაკენ, მაგრამ ჩვენი ბელადების ლაჩრობამ და მათმა საზიზღარმა ჭორებმა თუ როგორ დასამარეს ბოლშევიკებმა რუსეთი, ამირიეს გზა და კვალი. ეხლა კი ეს ორი წელიწადია საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვხედავ რა ბოლშევიკების გიგანტიურ დაუზოგველ შრომას და უნარს საქართველოს აღდგენაში და მშრომელი ხალხის გულისთვის თავდადებას, მეც მსურს ამ მუშაობაში შევიტანო ჩემი წვლილი.

პატივისცემით **მიხაკო ელიაძე**
ს. სამება

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს.

პატივცემულო რედაქტორო გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი წერილი გაზეთში:

მე ქვემორე ხელის მომწერი ლევან ლაზარეს ძე ლამაზაშვილი ვაცხადებ, რომ მე გაუნათლებელი მუშა ჩემი აზროვნების გამოურკვევლობით ჩათრეული ვიყავი მენშევიკურ პარტიაში 1918 წლიდან. ამიერიდან ვსწყვეტ ყოველივე კავშირს მენშევიკურ პარტიასთან, ვინაიდან დავრწმუნდი რომ იგი თავის ტაქტიკით ეწინააღმდეგება მუშათა კლასის ინტერესებს. ვტოვებ რა მენშევიკურ რიგებს, ამასთანავე მოვუწოდებ ამხანაგ მუშებს გამოირკვნენ და შეიგნონ, რომ მუშათა კლასის ინტერესების ნამდვილი დამცველი არის მხოლოდ საბჭოთა ხელის უფლება და მისი მებაირახტრე კომუნისტური პარტია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების მთავარ დეპოს მუშა **ლ. ლამაზაშვილი.**

პატ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაქვეყნო შემდეგი:

ამით საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ ვსწყვეტ ყოველგვარ კავშირს, როგორც ლეგალურს ისე არა ლეგალურს, მენშევიკურ ორგანიზაციასთან და ყოველ ღონის ვიხმარ სიტყვით და საქმით საქართველოს საბჭოთა ხელის უფლების დასაცავად.

მიხაკო ფ. თოდუა
კორწარის თემი (ოზ. მაზრა)

პატ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ მე არ ვიზიარებ მენშევიკური პარტიის პოლიტიკას, ერთხელ და სამუდამოთ გავდივარ ამ პარტიიდან და ვაცხადებ, რომ როგორც სიტყვით, ისე საქმით დავიცავ საბჭოთა ხელის უფლებას.

ეფთიმე მიხ. შელიძე
საჯამისურის თემი (ოზ. მაზრა)

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი:

1918—19 და 20 წლებში მე ვაძლევდი ხმას მემარცხენე სოც. ფედერალისტებს, ჩემი იდეალი და მისწრაფება იყო მიწის სოციალიზაცია. დღეს კი ეს საკითხები განხორციელდა და მოისპო სამუდამოთ ფეოდალიზმი. ამისთვის მე როგორც პროლეტარი ვტოვებ პირველს და სულით და გულით უერთდები კომუნისტურ პარტიას.

მიტუშა კაციტაძე.
ს. ხელთუბანი, 1923 წ. 19 მარტი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პროფესიული.

„განათლების მუშაკთა სახლში“.

— ორშაბათს, 16 აპრილს, საღამოს 7 საათზე, გეოგრაფიის და ბუნების მეტყველების ქვე-სექციაში: ლექცია საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის კურსიდან. ფიზიკო-მათემატიკურ ქვე-სექციაში, საღამოს 7 საათზე: 1) კონიევის მოხსენება პედაგოგიური მუზეუმის შესახებ; 2) შრომის სკოლაში ფიზიკის სწავლების პროექტის განხილვა.

— სამშაბათს, 17 აპრილს, საღამოს 7 საათზე თვითმოქმედების და თვითმმართველობის ქვე-სექციაში; ამხ. ამხ. რებრუხის და ლომთაძის მოხსენება საკლუბო მუშაობის შესახებ.

— ოთხშაბათს, 18 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ისტორიულ ქვე-სექციაში: ჩურსინის ლექცია საქართველოს შედარებითი ეთნოლოგიიდან.

საღამოს 7 საათზე იმავე ქვე-სექციაში: მასალები შრომის სკოლის მე-5 ჯგუფისათვის.

— პარასკევს, 20 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ფიზიკო-მათემატიკური ქვე-სექცია აწყობს მერვე ტეხნიკუმში ბალაბუევის მოხსენებას შემდეგ თემაზე: ელემენტი და მატერია თანამედროვე მეცნიერებაში.

ოთხშაბათობით, საღამოს 5 საათზე: მეცადინეობა ტეხნიკურ თანამშრომლებთა, ქართულ ენაზე, მსოფლიოს წარმოშობის კურსიდან.

პარასკეობით, საღამოს 5 საათზე: მეცადინეობა ტეხნიკურ თანამშრომლებთან, რუსულ ენაზე მსოფლიოს წარმოშობის კურსიდან.

— ხუთშაბათობით, საღამოს 7 საათზე: მეცადინეობა მარქსისტულ წრეში, ამხ. სუროვცევის ხელმძღვანელობით.

განცხადებები

დღეს, 14 აპრილს,
სახელმწიფო
ოპერა
წარმოდგენა პროფკავშირების წევრებისათვის
გუგენოტები
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე
კრ. 307—1—1

შაბათს, 14 აპრილს,
რუსთაველის
თეატრი
მაკბეტ
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კრ. 308—2—2

თანახმად ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა ა. წ. 7 აპრილის თარიღით, 15 აპრილიდან ქალაქის აბანოებში შემოღებულია შემდეგი ტარიფი:

აბანო № 3 (ყოფ. სუმბათაშვილის)	
ნომრები: 1, 2, 3	350.000 მან.
საერთო	70.000 „
აბანო № 4 (ყოფ. არღუთინსკის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6	300.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 5 (ყოფ. ცოვიანოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4	350.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 6 (ყოფ. ფანტაზია)	
ნომრები: 1, 2, 3, 4	350.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 7 (ყოფ. ერეკლეს და შალამოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10	350.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 8 (ყოფ. ორბელიანის)	
ნომრები: 1, 2, 4, 4, 5, 6	350.000 „
„ 7, 8, 9, 10	300.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 9 (ყოფ. მირზოევის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10	350.000 „
საერთო	70.000 „
აბანო № 13 (ყოფ. კარაჯაევის)	
საერთო კაცების	80.000 „
აბანო № 14 (ყოფ. უნანოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8	350.000 „
საერთო კაცების და ქალების	80.000 „

(კრ. 321 1—1) **ადმინისტრაცია.**

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
სავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—7)

საექიმო პერსონალის ხელახალი რეგისტრაცია ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან დასრულდა.

იმ პირთათვის, რომელნიც ვერ გამოცხადდენ საპატიო მიზეზის გამო, **რეგისტრაციის უკანასკნელ ვადათ** დანიშნულია [illegible] ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებაში (საპიროს ქ. 30, საღამოს 5—8 საათამდე). საექიმო პერსონალი, რომელიც რეგისტრაციაში არ გატარდა, ჰკარგავს პროფ. მუშაობის უფლებას.

ჯანმრთელობის სახ. კომისარის მოადგილე: **ფრანგულიანი**
საორგანიზ. განყოფ. გამგე: **გოცირიძე,**
2—1

საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა

აცხადებს, რომ 1923 წლის 15 აპრილიდან წესდება პროცენტები მიმდინარე ანგარიშებზე, რომელიც ეძლევათ დაწესებულებებს და კერძო პირებს ოქროთი (ჩერვონცებით) წლიურად 4 პროცენტამდე და მოკლე ვადით შენახულ ფულზე ოქროთი 6—8 პროცენტამდე წლიურად.

კრ. 318 2—1

ამიერ-კავკას. რკინის გზების სამმართველო

გადაზიდვათა ცენტრ. კომიტეტის დადგენილების შესაცვლელად (დეპეშა № 723-6913, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ზარია ვასტოკა“ № 179-178) აცხადებს, რომ როსტოვის საოლქო გადაზიდვათა კომიტეტის ა. წ. 27 მარტს № 3 დადგენილების თანახმად, უწყებებისათვის მინიჭებული უფლება გადაგზავნონ ტვირთები თავიანთ ნორმების ანგარიშში კერძო პირთა მისამართით გაუქმებულია და უწყების ტვირთები შეიძლება გადაგზავნილ იქნას უწყებების ნორმების ანგარიშში, მხოლოდ დაწესებულებათა, ორგანიზაციების და უწყებების მისამართით. ამასთანავე რომელიმე დაწესებულების ან უწყებების მიერ ტვირთების გადაგზავნის დროს მეორე უწყების ნორმის ანგარიშში და სხვა მისამართით საჭიროა გამგზავნელისაგან იმ უწყების მიერ მიცემულ მოწმობის წარმოდგენა, რომლის ნორმის ანგარიშშიაც იგზავნება ტვირთი. დანარჩენში გადაზიდვათა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გამგზავნელის მიერ გაგზავნის სადგურზე მოწმობის წარდგენის და „გადაზიდვის ფურცელზე“ (ნაკლადნაია) იმ უწყების სახელწოდების აღნიშვნის შესახებ, რომლის ნორმის ანგარიშში სწარმოებს გადაზიდვა, რჩება ძალაში.

გადაზიდვათა ადგილობრივ ბიუროს თავმჯდომარის მაგიერ—**ლედერი.** (კრ. 319 3—1)

დაიკარგა თომა ივანეს ძე გიგოლაევას სახელზე 1922 წ. მაისის 29 გაცემული პირადობის მოწმობა № 12755. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (522 1—1)

დაიკარგა მოწმობა ქალ. ხაშურის რაიონის მილიციიდან 11 მარტს, 1923 წ. № 4070 შალვა ბაგრატიონი. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (520 1—1)

დაიკარგა ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ ცეკავშირის ახალციხის განყოფილების სახელზე გაცემული ბეჭდის დასამზადებელი ნებართვა. ჩაითვალოს გაუქმებულად. (521 1—1)

დაიკარგა უვადო პასპორტი ვლადიმირ კოკოლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (519 1—1)

დაიკარგა ლუქის ბეჭედი წარწერით „სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილების საწყობი № 2“. ჩაითვალოს გაუქმებულად. (კრ. 324 1—1)

დადგენილება № 24,

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი

12 აპრილს 1923 წ.

1922 წლის 31 იანვრის № 91 საქართველოს სოც. საბ. რესპ. მთავრობის დეკრეტის თანახმად არსებულ ზომათა სისტემის საერთაშორისო მეტრიულ სისტემაზე მოსავალ გადასვლის გამო, წინადადებას ვაძლევთ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ყველა სავაჭრო და სამრეწველო წარმოებებს და დაწესებულებებს გატარდნენ რეგისტრაციაში ზომების მთავარ სამმართველოში (პლეხანოვის პრ. 117) მეტრიული ზომების მისაღებად.

რეგისტრაციის ვადები. შემდეგია: 1. მანუფაქტურის მოვაჭრეთათვის; საზოგადოთ ყველა იმათთვის, ვისაც ხმარებაში აქვს სიგრძის ზომა (არშინი და სხვა) ა. წ. 15 აპრილიდან 22 აპრილამდე.

2. ვინც ვაჭრობს სასწორის ზომით, ე. ი. ვისაც აქვს სასწორი და გირები ა. წ. 23 აპრილიდან 30 აპრილამდე.

3. შერეულ ვაჭრობისათვის, ე. ი. ვისაც აქვს ხმარებაში სიგრძის ზომა, წონის ზომა და სხვა—ა. წ. 1 მაისიდან 7 მაისამდე.

4. დანარჩენებისთვის—8-დან 14 მაისამდე.

რეგისტრაციასთან ერთად აუცილებლად უნდა წარმოადგინონ შემდეგი ცნობები: ა) სახელი, მამის სახელი და გვარი ვაჭრობა-მრეწველობის წარმოების მქონე პირის, ფირმის, ორგანიზაციის და დაწესებულების სახელწოდება. ბ) სწორი მისამართი წარმოების, ვაჭრობის და სხვა. გ) ვაჭრობის სახ. დ) ვაჭრობის ხარისხი. ე) რაოდენობა ზომებისა და სასწორების მათი გირების, სასწორის ამწევი ძალის, შკალების რაოდენობის და სასწორების ტიპის აღნიშვნით, აგრეთვე სიდიდე სიგრძის, მოცულობის და სხვა ზომების.

ვინც რეგისტრაციაში არ გატარდება აღნიშნულ ვადებზე, დაჯარიმებული იქნებიან 10-დან 100 მანეთამდე ოქროთი.

ეს დადგენილება ვრცელდება მხოლოდ ქალ. ტფილისზე.

ს. ს. ს. რეს. სახალხო მეურნეობის უმაღლ. საბჭოს თავმჯდომარე: **ვ. ავაკოვი.**
ს. ს. ს. რეს. ზომათა მეტრიულ სისტემის შემოღების მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე: **პოლოხოვი.**
ქ. ტფილისი.
კრ. 320 1—1

საქ. ს. ს. რეს. ჯანმრთელობის კომისარიატი
# კურორტების მთავარი
სამმართველო
იყიდება: 1. ბორჯომის წყალი, 2. ნახშირმჟავე გაზი (CO₂)
3. მინის ჭურჭელი, 4. ტყის მასალა დაუხერხავი და დახერხილი.
მიწოდებით და შეკვეთით შეიძლება მიმართოთ მთავარ საკურორტო სამმართველოს სავაჭრო-სამრეწველო ქვეგანყოფილებაში
(საპიროს ქ. № 30, ტელეფონი № 4-08.) (კრ. 309—8—8)

[illegible]